ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი – კვირა, 9 – 10 დეკემბერი, 2017

№292 (7527)

ფასი: 50 თეთრი

## „ოცნებაში“ პრეზიდენტის არჩევის წესზე ვერ თანხმდებიან




გვ.5

6 დეკემბრიდან




ქართული დეტექტივი მე-15 ტომი

მაია ბურჭულაძე

უფასო ბილეთი წარსულში

ორშაბათის სიზმარი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

# „ქართული ოცნება“ უფრო შევარდნაძის რეჟიმის გაგრძელებაა, ვიდრე სააკაშვილის“





გვ.2

## კახა კუკავა: „კალაძეს 100 დღის შემდეგ შევაფასებ“



## საქართველოს ეკლესია 1923-1928 წლებში შობას ახალი სტილით 25 დეკემბერს აღნიშნავდა



გვ.3

რატომ შეჩერდა წმინდა სინოდის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შობის ზეიმი ახალი სტილით 25 დეკემბერს დაწესდა და შესაძლებელია თუ არა მისი განახლება

## რომან გოცირიძე: „სუსი უმრავლესობის დეპუტატებს უთვალთვალებს“



გვ.2



გვ.2

## თენგიზ დიხამინჯია: „ჩვენი სახელმწიფოს აქილევსის ქუსლი ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებია“

ეკონომიკა

გვ.6



## „ჩვენი თვითმიზანი არ არის სოციალური მიმართულებების გაზრდა ბიუჯეტში, ჩვენი მიზანია ამ ადამიანების ამოყვანა გაჭირვებიდან“

## საუკეთესო ენერგეტიკული სისტემის მქონე ქვეყნების რეიტინგში საქართველო 71-ე ადგილზეა



## „საქართველო სოციალური უთანასწორობის მხრივ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ლიდერია“




ISSN 1987-9385

2 რუსთავის №18-ე საჯარო სკოლაში მანდატურმა მე-10 კლასის მოსწავლეს ელექტროშოკის აპარატი აღმოუჩინა

3 სოციალურად დაუცველების უმრავლესობა დასაქმებაზე უარს ამბობს

5 აფხაზური დიასპორა რეპატრიანტებისათვის შეღავათებს ითხოვს

3 ავტომრეცხავი, მღივანი და ვიზიტორთა დამთვლელი — ახალი თანამშრომლები გორის მერიაში

# „ქართული ოცნება“ უფრო შევარდნაძის რეჟიმის გაგრძელებაა, ვიდრე სააკაშვილის“

## კახა კუკავა: „კალაძეს 100 დღის შემდეგ შევაფასებ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს თავისუფალი საქართველოს ლიდერი კახა კუკავა პასუხობს.**

***— ბატონო კახა, მომავალი კვირიდან დიდ დიღომსა და ვაზისუბანს ბუნებრივ აირზე ტარიფი 5 თეთრით უძვირდება. მოსახლეობა აღშფოთებულია, ზოგი იმასაც ამბობს, რომ შესაძლოა ხალხმა თავად მოითხოვოს სააკაშვილის ხელისუფლების მობრუნება და მისი აქ ჩამოყვანა. ასე ცუდად არის საქმე?***

— დღეს მიმდინარეობს ზუსტად ის პროცესები, რის შესახებაც ჩვენ მოსახლეობას ვაფრთხილებდით არჩევნებამდე. იმ 15-15 ლარს, რომელიც დაარიგეს კალაძემ და „ოცნების“ სხვა კანდიდატებმა რეგიონებში, ასმაგად ამოიღებს ხელისუფლება მოსახლეობის კისრიდან. სამწუხაროდ, ყველას ერთად გვიწევს ამ ხელისუფლების დანაშაულების ფასის გადახდა. რაც შეეხება იმას, რომ ფასი იზრდება მხოლოდ დიდ დიღომსა და ვაზისუბანში, ეს არის პიარტაქტიკა.

***— რა თვალსაზრისით?***

— იტყვიან, რომ ეს უბნები გამონაკლისია. ცოტა ხანში გლდანსა და მთაწმინდას გაუზრდიან და იტყვიან, ეს მხოლოდ ამ უბნებს, თორემ დანარჩენ თბილისს არ შეეხებაო. ბოლოს დიდუბე და ჩუღურეთი დარჩება და გვეტყვიან, ყველგან გაძვირდა და ეს უბნები ხომ არ იქნება გამონაკლისიო. აი, ეს თამაში წამოიწყეს.

***— ანუ უბან-უბან დაიწყებენ ტარიფების მატებას?***

— დიახ. მას შემდეგ, რაც ეს ხელისუფლება მოვიდა, ლარი გაუფასურდა ზუსტად 100%-ით და არც ერთხელ არ უთქვამთ მათ, რომ ეს არის პრობლემა. ყოველთვის აცხადებენ, რომ ეს გასწორდება, ეს გარე ფაქტორებმა გამოიწვია, პუნქტობრივად დაეცა, შოკუნიებია და ასე შემდეგ, ანუ ცდილობენ მოსახლეობის შეგუებას. დენისა და გაზის ტარიფი თუ გაძვირდა, მთავრობა რა შუაშია. ეს არის ზუსტად ის ტაქტიკა, რომელიც იყო შევარდნაძის დროს, როდესაც მისი კარის რუპორები ამტკიცებდნენ, აფხაზეთი რომ დაიკარგა, შევარდნაძე რა შუაშიაო.

***— ასე როდემდე გაგრძელება? არ გაწყდება ეს მოთმინების ძაფი?***

— აუცილებლად გაწყდება და ამაზე ბევრი გვისაუბრია. მე სავარაუდო თარიღიც მითქვამს. ეს არის 2018-დან 2020 წლამდე შუალედი, როდესაც ეს მოთმინების ძაფი აუცილებლად გაწყდება. ამაში ეჭვიც არ მეპარება. ეს ხელისუფლება და პირადად ბიძინა ივანიშვილი დაასრულებს ძალიან მძიმედ, მაგრამ ჩვენი ამოცანა ეს არ უნდა იყოს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა ივანიშვილს ჩემზე მეტი კრიტიკოსი არ ჰყავდეს, მე მაინც ვიტყვი, რომ ივანიშვილის გასამართლება არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი პირობა ქვეყნის განვითარებისათვის.

***— რა არის მთავარი პირობა?***

— ჩვენ არ უნდა ვიყოთ ორიენტირებული მხოლოდ ივანიშვილის რეჟიმის დემონტაჟზე. ეს უკვე დაგვემართა, როცა შევარდნაძის ჩამოგდებაში ვმონაწილეობდით და მასში მეც ვმონაწილეობდი. გვეგონა, ეს იყო პრობლემის გადაწყვეტა და ვნახეთ, რომ ვერ



გადაწყდა. მერე როცა სააკაშვილის დამხობა მიდიოდა, ხალხს ვაფრთხილებდი, რომ მხოლოდ სააკაშვილის დამხობა არ არის საკმარისი. ახლაც ივანიშვილი გავუშვათ და უარესი მოვიდეს, ეს არ არის გამოსავალი.

***— სად არის გამოსავალი?***

— თუ გვინდა, ქვეყანა ამ მოჯადოებული წრიდან გამოვიდეს, რომელზეც საქართველო 1992 წლის 6 იანვრიდან დადის, აუცილებელია, ნებისმიერი რეჟიმი შევცვალოთ სისტემურად უკეთესი რეჟიმით, ხოლო დაახლოებით იგივე თუ მოდის, საქმე უარესადაა, ამით არაფერი იცვლება.

რა მოხდა შევარდნაძის შემთხვევაში? ერთი კაცი წავიდა — შევარდნაძე, ხოლო მთელი მოქალაქეთა კავშირი გადმობარგდა ახალ ხელისუფლებაში. ახლაც სააკაშვილი წავიდა და მთელი დანარჩენი ნაციონალური მოძრაობა დღეს ან „ქართულ ოცნებაშია“ პორტირებული, ან მის სატელიტ პარტიაში, რომელიც ასევე საპარლამენტო უმცირესობის სახითაა წარმოდგენილი.

ამ ადგილობრივ არჩევნებზე ვხედავთ, რომ გიგა ბოკერია ტრიუმფით დააბრუნა ბიძინა ივანიშვილმა ქართულ პოლიტიკაში. თუ იგივე განმეორდა და მხოლოდ ბიძინა ივანიშვილზე გადატყდა ჯოხი, მხოლოდ ის დააპატიმრეს და „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკაში სხვა სახელით განაგრძო ქვეყნის მართვა, რა თქმა უნდა, ქვეყანა კრიზისიდან ვერ გამოვა.

ჩვენი ამოცანაა, გავთავისუფლდეთ იმ პოსტსაბჭოთა ელიტისგან, რომელიც ქვეყანას მართავს 1992 წლიდან მოყოლებული. ქვეყანას მტკიცე ხელი და ეროვნულად მოაზროვნე მთავრობა სჭირდება.

***— საუბრისას სააკაშვილი ახსენეთ და საუბარია იმაზე, რომ მოხდება მისი ექსტრადირება და ამით გადაირჩენს თავს ეს ხელისუფლება. უშველის „ოცნებას“ სააკაშვილის გასამართლება?***

— არა მგონია. „ოცნება“ რაც ხელისუფლებაში მოვიდა, ჯერ ძლიერი პოლიტიკური სვლა არ ჰქონია. ერთადერთი, რაზეც ეს ხელისუფლება დგას, არის ის, რომ ყიდულობს ხმებს. იზრდება საპროტესტო ელექტორატიც, მაგრამ ჯერჯერობით მოსყიდულთა ხმები წონის. ეს უბრალო მათემატიკური ფორმულაა: სანამ საპროტესტო ელექტორატის ხმები ნაკლებია, ვიდრე იმ ხმების რაოდენობა, რომლებიც იყიდება, მანამდე კორუმპირებული მთავრობები ინარჩუნებენ ხელისუფლებას.

***— დიდია მოსყიდულთა რაოდენობა?***

— საშუალო არის 30%. როცა საპროტესტო ხმები გადააჭარბებს 30%-იან პირობით ნიშნულს, მაშინ ნებისმიერი ხელისუფლება ასრულებს თავის არსებობას. „ქართული ოცნება“, ამ მოსყიდული ხმების გარდა, სხვას არაფერს ეფუძნება. სააკაშვილს გაცილებით მეტი ჰქონდა გადასაგდები მოსახლეობისთვის. ის ბევრ პროექტს ახორციელებდა, რომლებითაც ცდილობდა მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილის გულის მოგებას.

„ქართულ ოცნებას“ ეს არ აქვს. ამიტომ, როცა ადარებენ „ქართულ ოცნებას“ ნაციონალურ მოძრაობას, მთლად სწორი შედარება არ არის. უფრო სწორია ამ ხელისუფლების შედარება შევარდნაძის ხელისუფლებასთან. „ქართული ოცნება“ უფრო შევარდნაძის რეჟიმის გაგრძელებაა, ვიდრე სააკაშვილის, თავისი არსითა და ტაქტიკით.

***— გვესმის შეფასებები, რომ თბილისის ახალმა მერმა კარგად დაიწყო მუშაობა და „ოცნების ფონზე“ კალაძე ბევრად უკეთესად გამოიყურება. რას იტყვით თქვენ?***

— კი, ბევრი აფასებს კალაძის ნაბიჯებს პოზიტიურად. მე შევაფასებდი ნეგატიურად.

***— რატომ?***

— მე გეთანხმებით, რომ კალაძე უკეთესად გამოიყურება თავისი გუნდის ფონზე, მაგრამ, თუ ადამიანი გუგული მაღრაძის ფონზე უკეთესად გამოიყურება, ეს არ არის კომპლიმენტი იმ პოლიტიკური ლიდერისთვის, რომელსაც ქვეყნის პირველ პირობაზე აქვს პრეტენზია. სინამდვილეში კალაძეს ჯერჯერობით არცერთი წინასაარჩევნო დაპირების შესრულება არ დაუწყია და ძირითადად დაკავებულია მეათეხარისხოვანი თემებით, როგორიცაა, მაგალითად, მიწისქვეშა გადასასვლელების მოხატვა. ეს ძალიან კარგია, მაგრამ ამ თემით დაკავებული უნდა იყოს რომელიმე რაიონის გამგებლის მოადგილე და არა — ქალაქის მერი! ჩვენ გვახსოვს, რაც იყო ქალაქის მერის ძირითადი დაპირებები.

***— კონკრეტულად?***

— ყველაზე მეტად ალბათ მოსახლეობას ახსოვს სითი პარკი, ახსოვს ტექდათვალიერებები. ჩვენ ვხედავთ, რომ ტექდათვალიერებები გადაიდო. სუფთა ჰაერით ვერ ვისუნთქავთ კალაძის მმართველობის პერიოდში. სითი პარკზეც ოფიციალურად ჯერ არ უთქვამთ, რომ გადაიდო, მაგრამ ფაქტია, სითი პარკთან დაკავშირებით ჯერჯერობით არანაირი ნაბიჯი ხელისუფლებას არ გადაუდგამს.

მე ჯერჯერობით ველოდები 100 დღის გასვლას. ეს საერთაშორისო სტანდარტია, პირველი 100 დღე უნდა აცადო ხელისუფლებას. 100 დღის შემდეგ ჩვენ ჩავატარებთ პრეზენტაციას და გავაცნობთ საზოგადოებას, კალაძის დაპირებებიდან რომლის შესრულება დაიწყო. ჯერჯერობით ძალიან უიმედოდ გამოიყურება ეს საქმე. კახა კალაძეს თავისი საარჩევნო დაპირებების შესრულება არც კი დაუწყია.

***— ის ვერ იქნება გამორჩეული მერი, როგორც ამას უწინასწარმეტყველებდნენ?***

— ეს მისი შანსია. როგორც ფეხბურთშია, პასს რომ მოგაწვდიან, ეს არ ნიშნავს, რომ ავტომატურად გოლს გაიტან. თუ პასი არ მოგცეს, გოლს ნამდვილად ვერ გაიტან. კალაძემ ბურთი მიიღო ამ ადგილობრივ არჩევნებზე, მაგრამ ახლა გოლი უნდა გაიტანოს.

# რომან გოცირიძე: „სუსი უმრავლესობის დეპუტატებს უთვალთვალებს“

შორენა მარსაგიშვილი

დეპუტატ შოთა შალელაშვილის განცხადებას დიდი ამბები მოჰყვა. რამდენიმე დღის წინ ამ უკანასკნელმა პრემიერს ღია წერილით მიმართა. ღია წერილის დასაწერად ფრთები მას დონალდ ტრამპის განცხადებამ შეასხა. ტრამპმა თავის მხრივ განაცხადა, რომ ისრაელის დედაქალაქი იერუსალიმი უნდა იყოსო.

შალელაშვილი საქართველოს პრემიერს სთხოვს, რომ ამ ინიციატივას დაუჭიროს მხარი. ამ ღია წერილის შემდეგ, შალელაშვილი სუსში დაიბარეს. სუსიდან გამოსული დეპუტატი კიევში გაემგზავრა.

ოპოზიცია „ოცნების“ წევრების ბედზე დიდად არ ღელავს, მაგრამ შალელაშვილის სუსში დაბარება მაინც შეიცხადეს. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი რომან გოცირიძე ამბობს, რომ სპეცსამსახურები დეპუტატებს უთვალთვალებენ.

— საქართველო ჩამოყალიბდა პოლიციურ სახელმწიფოდ. ფაქტობრივად, სუს-ი გახდა ჟანდარმი, როგორც ცარიზმის დროს იყო, როდესაც მეფის მართვის მთავარი ინსტრუმენტი იყო კონტროლი, დასმენები და ფაქტობრივად სუს-ი მართავს დღეს ქვეყანას. აღმოჩნდა, რომ ის არა მხოლოდ ოპოზიციას უთვალთვალებს, არამედ უთვალთვალებს უმრავლესობის წევრებსაც, მათ შორის დეპუტატებსაც, რაც წარმოუდგენელი რამ არის.

რაც შეეხება პრემიერ-მინისტრის განცხადებას, რომ უმრავლესობის წევრი არ უნდა მიმართავდეს ამ ფორმით, მე გავახსენებ საქართველოს


Simon Nozadze ბატონო შოთა, უფლის ნებით, მე და თქვენ ერთი წელიწადი, საქართველოს პარლამენტში, გვერდი-გვერდ სავარძლებში გავატარეთ. გავატარეთ მუდმივ ბიებში, შეფასებებში, მსჯელობებში... მენტალურად ახლო მდგომებს, ან ერთნაირი დამოკიდებულება გვაქვს საკვანძო პრობლემებისა და საკითხების მიმართ, ან მნიშვნელოვნად ვაახლოებთ ერთმანეთის პოზიციებს. ასე არის, როდესაც ვმსჯელობთ მსოფლიოს არქივებში გაბნეული, საქართველოს ისტორიის დამადასტურებელი დოკუმენტების, არტეფაქტების მოძიების აუცილებლობაზე. ასე იყო გუშინაც, როდესაც ბატონი ტრამპის გაბედული და პროგრესული გადაწყვეტილების შესახებ გავიგეთ. ვიცით დასავლეთის ფრთხილი რეაქციის შესახებაც. ხმამაღლა თუ არ გამოთქვა, ებრაელმა ხალხმა მიუღლის თავის მეგობრად. მე, ამ საკითხშიც, თქვენი თანამოაზრე ვარ. ღრმა პატივისცემით.
Like Reply 4 9 hrs

მთავრობას, რომ ყველაზე დიდი საარჩევნო დაპირება ტრამპის, ჯანდაცვის რეფორმა ჩააგდო მაკეინმა, მისივე პარტიის წევრმა და მისმა ხმამ გადაწყვიტა ამ რეფორმის დასამარება და ის არც ეფბიაი-ს დაუბარებია უწყებაში და არც არავის დაუტუქსავს, — აცხადებს გოცირიძე.

შალელაშვილის გამო შარში სავარაუდოდ კიდევ რამდენიმე დეპუტატი გაეხვია. მის ინიციატივას სოციალურ ქსელში ზვიად კვაჭანტირაძე და სიმონ ნოზაძე გამოეხმაურნენ.

კვაჭანტირაძემ 7 დეკემბერს, შალელაშვილის ღია წერილის გამოქვეყნებიდან მალევე საკუთარი აზრი დააფიქსირა და სოციალურ ქსელში დაწერა, რომ აშშ-ის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას იერუსალიმის დედაქალაქად გამოცხადების თაობაზე, ისიც ეთანხმებოდა და საქართველოს მთავრობას იგივე ნაბიჯი დროულად უნდა გადაედგა.

მას შემდეგ კი, რაც შალელაშვილის წერილმა პრემიერის შეშფოთება გამოიწვია და განცხადების ავტორს სუსში უხმეს, ფეისბუქიდან კვაჭანტირაძის კომენტარი გაქრა. ის არც სატელეფონო ზარებს პასუხობს.

კომენტარი 8 დეკემბერს წაშლილი არ ჰქონდა სიმონ ნოზაძეს. პარლამენტში ვარაუდობენ, რომ ისიც მალე წაშლის.

# რუსთავის №18-ე საჯარო სკოლაში მანდატურმა მე-10 კლასის მოსწავლეს ელექტროშოკის აპარატი აღმოუჩინა



რუსთავის №18-ე საჯარო სკოლაში მანდატურმა მე-10 კლასის მოსწავლეს ელექტროშოკის აპარატი აღმოუჩინა

არსებული ინფორმაციით, რუსთავის №18-ე საჯარო სკოლაში მანდატურმა მე-10 კლასის მოსწავლეს ელექტროშოკის აპარატი აღმოუჩინა. აღნიშნულის გამო სკოლის მანდატურმა ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

ფაქტს რუსთავის საგანმანათლებლო რესურსცენტრში ადასტურებენ და აცხადებენ, რომ გონივრული ეჭვის შემთხვევაში, სკოლის მანდატური მოსწავლეებს უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით ისედაც ამოწმებს.

— ამჯერად მანდატურმა უცნაური ხმა გაიგო და მოსწავლე შეამოწმა. მე-10 კლასელ ბიჭს ე.წ. ელექტროშოკის პატარა აპარატი აღმოაჩნდა. მანდატურმა და სკოლის ადმინისტრაციამ ადგილზე საპატრულო პოლიცია გამოიძახეს და მოსწავლეს აპარატი ჩამოართვეს, — განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ რესურს ცენტრში.

# რამზან კადიროვი: „ტრამპი ისრაელს სისხლიან დაპირისპირებაში ჩაითრევს“



ჩეჩნეთის ლიდერმა რამზან კადიროვმა აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი იერუსალიმთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გამო გააკრიტიკა.

რამზან კადიროვის თქმით, ამ გადაწყვეტილების გამო „მუსლიმური პალესტინა ახლა კარგავს ბოლო იმედს ავტონომიაზე, რაც განსაკუთრებით აღმაშფოთებელია მაშინ, როდესაც რუსეთის დახმარებით სირიის სამთავრობო ძალებმა ქვეყანა „ისლამური სახელმწიფოს“ ტერორისტებისგან გაათავისუფლეს“.

— როგორ უნდა გავიგოთ აშშ-ის პრეზიდენტის პოლიტიკა? ძალიან მარტივად. ახლა ბოლო ეჭვი გაქრა იმის თაობაზე, თუ ვინ შექმნა ერაყისა და სირიის ტერიტორიაზე ტერორისტული პლაცდარმი საკუთარი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად. დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ამ გადაწყვეტილებით ტრამპი ისრაელს სისხლიან დაპირისპირებაში ჩაითრევს, — დასძინა კადიროვმა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# საქართველოს ეკლესია 1923-1928 წლებში შობას ახალი სტილით 25 დეკემბერს აღნიშნავდა

## რატომ შეჩერდა წმინდა სინოდის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, შობის ზეიმი ახალი სტილით 25 დეკემბერს დაწესდა და შესაძლებელია თუ არა მისი განახლება

შორენა მარსაგიშვილი

**საქართველოში უკვე დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ შობა 25 დეკემბერს უნდა აღვნიშნოთ, რასაც ქართული ეკლესია არ იზიარებს. არადა გასულ საუკუნეში სწორედ წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით აღინიშნებოდა შობა 25 დეკემბერს.**

რატომ შეიცვალა ეს თარიღი, რა წერია განჩინებაში, რა შუაშია აქ რუსული ეკლესიის გავლენა? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

**გოჩა მირცხულავა:**

– რამდენიმე დღეში შობას ვიზეიმებთ და ჩვენ ჯერაც ვერ გავარკვიეთ, როდის უნდა აღვნიშნოთ ეს ბრწყინვალე დღესასწაული. როგორ ფიქრობთ, რამე ეშლებათ ქართველ მორწმუნეებს ან მოქალაქეებს, რომლებიც ერთმანეთს შობა-ახალ წელს ულოცავენ და არა ახალ წელს და შობას? არა, არაფერი და აქ საქმე სიტყვათა წარმოთქმის რიგითობის სიმარტივეში კი არ არის, არამედ სწორ და გააზრებულ თანმიმდევრობასთან გვაქვს საქმე.

თავი დავანებოთ ყოფით უხერხულობას, როდესაც ოჯახის ერთი წევრი მარხულობს და მეორე ზეიმობს ახალი წლის დადგომას, თავი დავანებოთ იმაზე საუბარსაც, რომ ახალ წელს, შობის დღესასწაულის განუსაზღვრელობის გამო, რამდენი პრობლემა იქმნება და საკითხს სუფთა საეკლესიო ჭრილში შევხედოთ.

აი, ამ დროს კი მარტივად დავასკვნით, რომ ჩვენდა თუ მათთა სამწუხაროდ, წლებია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია მაცხოვრის შობას სულ სხვა დღეს ზეიმობს და ლამის 90 წელია, გაურბის რეალობის აღიარებას და წმინდა ამბროსი ხელაიასა და კათალიკოს ქრისტეფორეს მამამთავრობისას გამოხატული ნების აღსრულებას.

ლამის მთელი მსოფლიო ამ უდიდეს დღესასწაულს სწორედ 25 დეკემბერს აღნიშნავს. 25 დეკემბერს ზეიმობენ შობას კონსტანტინოპოლის, ალექსანდრიის, ანტიოქიის, ელადის, კვიპროსის, რუმინეთის, ბულგარეთის, პოლონეთის, ალბანეთის, ჩეხეთისა და სლოვაკეთის, ამერიკის ავტოკეფალიური მართლმადიდებელი ეკლესიები. საქართველოს ეკლესიაც აღნიშნავდა ამ დღესასწაულს წლების განმავლობაში სწორედ 25 დეკემბერს.

***– საიდან მოვიდა 7 იანვარი?***

– 1918 წელს, საქართველოს საერო ხელისუფლებამ მოქმედი ძველი კალენდარი შეასწორა და შემოიღო გრიგოლის კალენდარი. საქართველოს ეკლესიამ არ მიიღო ეს შესწორება, რის შედეგადაც 25 დეკემბერი იქცა სამოქალაქო კალენდრის 7 იანვრად.

კალენდარული რეფორმები იმხანად ყველა მართლმადიდებლურ სახელმწიფოში განხორციელდა. 1923-24 წლებში ეს რეფორმა განახორციელა კონსტანტინოპოლის მსოფლიო საპატრიარქომ, საბერძნეთის საარქიეპისკოპოსომ და მოსკოვის საპატრიარქომ.

კათოლიკოს-პატრიარქთა წმინდა ამბროსის (ხელაია) და ქრისტეფორე III-ის (ციცქიშვილი) მამამთავრობისას, საქართველოს ეკლესიამაც ორგზის სცადა ახალი კალენდრის შემოღება და ახალი სტილი საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედებდა 1923-1925 და 1927-1928 წლებში.

***– რატომ აღმოჩნდა მათი მცდელობა წარუმატებელი?***

– მოსახლეობის არაინფორმირებულობის გამო, ეს საქმე ორჯერ ჩაიშალა. 1928 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ეკლესიის საკათალიკოსო სინოდმა მიიღო განჩინება ახალი სტილის დროებით შეჩერებისა და კვლავ ძველ სტილზე დაბრუნების შესახებ.

აი, რა წერია მეოთხე საეკლესიო კრების განჩინებაში:

„ეპარქიებში შეუძლებელი გამოდგა ახალი სტილის კალენდრის გატარება, რის მიზეზიცაა მორწმუნეთა მოუმზადებლობა და შეუგნებლობა ამ საკითხში. მათის აზრით, ახალი კალენდრით დღესასწაულებისა და მარხვების შესრულება არის სარწმუნოების შელახვა. ასე მსჯელობენ არა მარტო გაუნათლებელი, არამედ განათლებული მორწმუნენიც და სამღვდელოების ნაწილიც. ახალი კალენდრის შემოღება უაღრესად ძნელია იქ, სადაც საეკლესიო დღესასწაულები სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს არ მიაჩნიათ დასვენების დღეებად. ამიტომ სრულიად საქართველოს საკათალიკოსო სინოდმა განაჩინა: 1928 წლის პირველი ოქტომბრიდან საქართველოს ეკლესიაში დღესასწაულნი, უძრავნი და მოძრავნი სრულდებოდეს იულიუსის კალენდრით“.

აქვე, ამავე განჩინებაში, საკათალიკოსო სინოდმა მღვდელმთავრებს დაავალა, გაეწიათ პროპაგანდა ახალი სტილის სასარგებლოდ.

***– ეს განჩინება აღსრულდა?***

– თქვენ გსმენიათ და გაგიგიათ იმის შესახებ, რომ ამ საკითხზე გარდა ერთეული სასულიერო პირისა, ვინმე ღიად საუბრობდა? კიდევ ერთხელ განვმარტავ – კალენდარზე საკათალიკოსო სინოდმა მღვდელმთავრებს დაავალა გაეწიათ პროპაგანდა ახალი სტილის სასარგებლოდ. დღევანდელი სასულიერო პირების უმეტესი ნაწილი ამ დავალებას არ ასრულებს.

აბა, მაჩვენეთ რომელიმე სასულიერო პირი, რომელიც იტყვის, რომ გაუნათლებელია, მაშინ რატომ არ ასრულებენ სინოდის დავალებას და არ განუმარტავენ მრევლსა და მოსახლეობას, ხომ ცხადია, რომ რწმენაში ყოფნის მიუხედავად, შობას თითქმის ყველა ზეიმობს, რომ ეს დღესასწაული არის 25 დეკემბერს და არა 7 იანვარს?

ამ საკითხთან დაკავშირებით ცნობილია უწმინდესისა და უნეტარესის, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სიტყვები: „საკავშირო მთავრობის დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ ასეთი იყო: რაც უფრო ცუდად იქნება საქმე ეკლესიაში, მით უკეთესი“. ცხადია, რომ დღეს საკითხი მიბმულია რუსეთის ეკლესიაზე. პატრიარქი ამ საკითხის ინიცირებას სწორედ იმიტომ არ ახდენს, რომ სინოდში მრავლად არიან რუსეთის ეკლესიის და არა ქართული ეკლესიის მსახურნი და არ სურდა საკითხი ჩავარდნილიყო, რაც მნიშვნელოვანი დარტყმა იქნებოდა ქართული მართლმადიდებელი ეკლესიისთვის.

ამიტომ, დღეს საზოგადოება არის ვალდებული, მოითხოვოს სინოდისგან ამ საკითხზე მსჯელობა.

ვიმეორებ, მეოთხე საეკლესიო კრების გადაწყვეტილება გაუქმებული არ არის და მისი განჩინებით შობის 25 დეკემბერს აღნიშვნა მხოლოდ შეჩერებულია.

***– თქვენ ბევრი ისაუბრეთ 25 დეკემბერთან დაკავშირებული საეკლესიო კრების განჩინების შესახებ.***

– გამოვიდეს ნებისმიერი მღვდელმთავარი და თქვას, რომ ამბროსი ხელაიაზე მეტად ერთგულია სარწმუნოების, მასზე განათლებულია თეოლოგიაში და შეუპოვარია მართლმადიდებლობისა და ქართული ეკლესიის მსახურებაში. ამის მერე მოიყვანოს საწინააღმდეგო არგუმენტები – თან მეცნიერულად და თეოლოგიურად დასაბუთებული, შობის 25 დეკემბერს აღნიშვნის წინააღმდეგ. დღეისთვის საქართველოს, რუსეთის, იერუსალიმისა და სერბეთის საპატრიარქოები რჩებიან „ძველ სტილზე“, ხოლო უკლებლივ ყველა სხვა, 11 ავტოკეფალიური მართლმადიდებლური ეკლესია გადასულია შესწორებულ კალენდარზე.

აი, რა წერია წმინდა სინოდის 1927 წლის 12 ოქტომბრის განჩინებაში ახალ სტილთან დაკავშირებით:

„ჩვენ, სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მმართველი მღვდელმთავარნი, მოვუწოდებთ ჩვენს სამწყსოს და სულიერ შვილთა, გულდამშვიდებით მიიღონ ეს განკარგულება ახალი სტილის კალენდრის შემოღების შესახებ, რადგან ახალი სტილის კალენდარი უფრო შეუმცდარად აღნიშნავს დღესასწაულებისთვის მიჩენილ დროს, ვიდრე ძველი კალენდარი, რომელიც მეცნიერთა გამოკვლევით, ჩამორჩენილია ნამდვილს წელიწადსა და ცამეტის დღით.

ზემოხსენებულს დავსძენთ მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) პატრიარქის, ბასილის სიტყვებს: „მართლმადიდებელთათვის დიდად გამოსადეგი, სასარგებლო და აუცილებელია შეთანხმება საეკლესიო კალენდრისა ახალ კალენდართან, რომელიც უკვე ხმარებაშია სამოქალაქო საჭიროებისთვის. მხოლოდ ხელუხლებლად უნდა დარჩეს კანონიკური დადგენილებანი წმ. პასექის დღესასწაულობის შესახებ“.

დღეს რეალობა ასეთია – არ ვიცით, ამას როდის აღიარებს საპატრიარქო, ან აღიარებს თუ არა საერთოდ, მაგრამ ბოლო წლებია, ეკლესიას მრევლი მოაკლდა.

***– ამის გამო მოაკლდა ეკლესიას მრევლი?***

– მიზეზების განხილვას არ დავიწყებ, მხოლოდ ერთს ვიტყვი, სასულიერო პირების აგრესიულობა და მათი ხილული კავშირები რუსეთთან, ასევე უმთავრესი – სიყვარულის დეფიციტი, ან არქონა, დიდად განაპირობებს იმას, რაც ახლა ხდება საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში.



სადავო რომ არ გახდეს საკითხი აღდგომასთან, წმინდა პასექთან დაკავშირებით, აქაც ჯერ კიდევ 90 წლის წინ გაკეთდა განმარტება და მოხმობილ იქნა მსოფლიო (კონსტანტინეპოლის) პატრიარქის, ბასილის სიტყვები: „მართლმადიდებელთათვის დიდად გამოსადეგი, სასარგებლო და აუცილებელია შეთანხმება საეკლესიო კალენდრისა ახალ კალენდართან, რომელიც უკვე ხმარებაშია სამოქალაქო საჭიროებისთვის. მხოლოდ ხელუხლებლად უნდა დარჩეს კანონიკური დადგენილებანი წმ. პასექის დღესასწაულობის შესახებ“.

ქართველ სასულიერო პირებს დიდად არ ეპიტნავებათ საერო პირების რჩევები და კარჩაკეტილ ცხოვრებასა და საქმიანობას ეწევიან. მაგრამ არ დავიღლები ამ სიტყვების განმეორებით – მიმდინარე ეტაპზე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ამ ქვეყანას, თავად დედა ეკლესიას ვერაფერს ვერ გაუკეთებს უკეთესს, ვიდრე კათოლიკოს-პატრიარქების, წმინდა ამბროსის (ხელაია) და ქრისტეფორე III-ის (ციცქიშვილი) მამამთავრობისას გამოხატული ნების აღსრულებაა. მით უფრო, რომ ეს ნება ეფუძნება საეკლესიო სინოდის განჩინებას და იმავე სინოდის განჩინების საფუძველზეა დროებით შეჩერებული.

მოვუწოდებ წმინდა სინოდის წევრებს, სასულიერო პირებს, დაფიქრდნენ საქართველოს ეკლესიის ახალ კალენდარზე გადასვლის აუცილებლობაზე. განვმეორდები, ახალი სტილის კალენდარი ჩვენს ეკლესიაში ორჯერ, 1923-1925 და 1927-1928 წლებში მოქმედებდა.

თუ ამ ნაბიჯს ეკლესია არ გადადგამს, მრევლი ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში, საკუთარ თავში მაინც დაამკვიდრებს სწორედ 25 დეკემბერს შობის დღესასწაულად, ხოლო ეკლესია აღმოჩნდება წმინდა სინოდის განჩინების, პროგრესისა და საქართველოს ეკლესიის უდიდესი მოღვაწეების ნების უგულველმყოფელი.

პირადად მე, შობას ყველას 25 დეკემბერს მოგილოცავთ, სწორედ იმ დღეს, როცა ქრისტე იშვა ბეთლემს.

# სოციალურად დაუცველების უმრავლესობა დასაქმებაზე უარს ამბობს



სოციალური მომსახურების სააგენტოში ევროკავშირის დაფინანსებით ხორციელდება პროგრამა „დასაქმების ხელშეწყობის სამსახურის შესაძლებლობების განვითარება საქართველოში“. პროექტი, 2015 წლის აგვისტოში, ტენდერში გამარჯვებულ სლოვაკურ-უნგრულ-ჩეხურ კონსორციუმთან ერთად, დაიწყო. ის ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის, ინტეგრაციისა და თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში მიმდინარეობს და საქართველოსაც მოიცავს.

სამუშაოს მაძიებელი სოციალურად დაუცველები უნდა დარეგისტრირდნენ ჭორკ№ეტ-ში, სადაც მიუთითებენ თავიანთ მონაცემებს (განათლება, პროფესია, უნარები და ა.შ.). ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში უკავშირდებიან მას და ასაქმებენ.

როგორც ირკვევა, სოციალური მომსახურების სააგენტოს ამჟამინდელი მონაცემებით, პილოტის საფუძველზე, 600-მა სამუშაოს მაძიებელმა ჭორკ№ეტ-ში შექმნა საკუთარი პროფილი.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალური დახმარების მიმღებ პირებს, სამსახურის დაწყების თაობაზე შეთავაზება მისცეს, ისინი არ დათანხმდნენ მას. მათი აზრით, ანაზღაურება იქნებოდა გაცილებით ნაკლები, ვიდრე სოციალური დახმარება და, შესაბამისად, კიდევ უფრო დამძიმდებოდა მათი ყოფა.

ამის შესახებ იმ კვლევაშია საუბარი, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაციის „ადამიანი გაჭირვებაში“ დაკვეთით, გამოაქვეყნა.

კვლევის მიხედვით, ბენეფიციარების უმრავლესობისთვის მწვავე პრობლემაა სოციალურად დაუცველის სტატუსის შეჩერების შიში და უმუშევრობა. კვლევა ჩატარდა „სოციალური დაცვის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობის გაძლიერება სტრატეგიულ დიალოგში საქართველოში“ პროექტის ფარგლებში.

სოციალურად დაუცველებს მიაჩნიათ, რომ ერთჯერადად ჩარიცხული ფულადი დახმარება ან სხვა სახის შემწეობა, შესაძლოა გახდეს სოციალური დახმარების მოხსნის მიზეზი. ბენეფიციარები ამბობენ, რომ იმ სოციალური სერვისებით, რომლებიც დღესდღეობით არსებობს, ვერ ხერხდება მათი პრობლემების სრულად მოგვარება, თუნდაც საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული ხარჯების გარდა, არსებობს სხვა ხარჯები, რომელთა დაფინანსებასაც ისინი ვერ ახერხებენ.

**ქართლი.გე**

# ავტომრეცხავი, მდივანი და ვიზიტორთა დამთვლელი — ახალი თანამშრომლები გორის მერიაში



გორის მერიაში მრჩევლების პოზიცია გაუქმდა. სამაგიეროდ, მერს ავტომრეცხავი და პრეს-მდივანი ეყოლება. თანაშემწეთა რაოდენობა კი ერთით გაიზარდა.

ამის შესახებ გადაწყვეტილება გორის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო. 24 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილება შეიცვალა, რომლის შესახებ შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა სტატია გასულ კვირას გამოაქვეყნა.

მასალის გამოქვეყნების შემდეგ, მერმა საკრებულოს ახალი საშტატო ნუსხა გაუგზავნა. მისი განმარტებით, მათ გადახედეს ახლად დამტკიცებულ ნუსხას და მისი შეცვლის აუცილებლობაში დარწმუნდნენ.

„ეს არის ჩვეულებრივი მოვლენა“, – აცხადებს კოტე თავზარაშვილი, გორის მერი.

მერიის მიერ წარდგენილი ახალი პროექტი საკრებულომ დღეს დაამტკიცა.

ახალი დადგენილების მიხედვით, ხელშეკრულებით, სულ გორის მერიაში 15 პირი იქნება დასაქმებული.

4 – მერის თანაშემწე; 3 – კონსულტანტი; 3 – მძღოლი; 1 – ავტომრეცხავი; 1 – ვიზიტორთა რეგისტრატორი; 1 – ტექნიკური მენეჯერი; 1 – შესყიდვების თანამშრომელი; 1– ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომელი.

გორის მერიაში ამბობენ, რომ წინა მერს 6 მრჩეველი ჰყავდა. ხოლო კონსულტანტებს რაც შეეხება, ისინი სფეროებისმიხედვით, სხვადასხვა განყოფილებებს მოემსახურებიან.

**ქართლი.გე**

# თენგიზ დიხამინჯია: „ჩვენი სახელმწიფოს აქილევსის ქუსლი ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებია“

გულიკო ბალაძე

**რა გეოპოლიტიკურ ძვრებს გამოიწვევს ამერიკის პრეზიდენტ ტრამპის გადაწყვეტილება იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად აღიარების შესახებ და როგორ უნდა იმოქმედოს საქართველომ ამ სიტუაციაში? უზენაესი საბჭოს ყოფილ დეპუტატ თენგიზ დიხამინჯიას განცხადებით, საქართველომ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიჭიროს.**



***— ბატონო თენგიზ, რა გეოპოლიტიკურ ძვრებს გამოიწვევს ტრამპის გადაწყვეტილება იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადების შესახებ?***

— საერთოდ, ტრამპის გამოჩენამ ამერიკის მმართველობაში მთელი რიგი პოლიტიკური მოვლენების გადაფასება გამოიწვია. ტრამპმა განაცხადა, რომ ბელგრადის დაბომბვა ნატოს მიერ არასწორი იყო. აკრიტიკებდა ობამას ადმინისტრაციის დამოკიდებულებას ირანისადმი და ფუნდამენტალიზმისადმი. ეხებოდა სუნიტური და შიიტური მიმართულებებისადმი ახლებურ გადაწყვეტილებებს. მთელი რიგი ფაქტორებია.

***— ტრამპმა ამ განცხადებით რა თამაში წამოიწყო, რომელსაც უკვე მოჰყვა შეიარაღებული დაპირისპირება პალესტინასა და ისრაელს შორის? პალესტინელებმა ორი რაკეტა გაუშვეს ისრაელის მიმართულებით. ეს ახალი ომის გაჩაღება არ არის?***

— ყოველ შემთხვევაში, ომისგან შორს არ არის.

***— იმ ფონზე, როდესაც სირიაში მყიფე სიტუაციაა, იქ რუსული თამაში იმარჯვებს, ე.წ. ისლამურ სახელმწიფოს საკმაოდ მყარი პოზიციები აქვს. ამ ფონზე ახალი თამაშის წამოწყება და ახალი პრობლემების წარმოქმნა, რისი მომტანია?***

— ეს უკავშირდება არა მარტო მსოფლმხედველობრივ-პოლიტიკურ ფაქტორებს, არამედ ბიზნესპროექტებს. რა, ობამას ადმინისტრაციის დროს ირანისთვის დაწესებული სანქციები რომ მოიხსნა, ამით უზარმაზარი პრივილეგიები მიენიჭა. ხდება პარტნიორების ცვლილება. ამ სიტუაციაში თუ შესაბამისი პოლიტიკური და თავდაცვის ქოლგა გექნება, მაშინ პოლიტიკა სულ სხვანაირად იქნება მოაზრებული. სირიის კონფლიქტი, ირანი, სპარსეთის ყურე, ნავთობის ფასი, მისი გადაზიდვა, მისი ექსპორტი, დამაკავშირებელია სამყაროს განლაგებასთან, მის კეთილდღეობასთან და მის ავბედობასთან. ამ შემთხვევაში აღნიშნული გადაწყვეტილება ტაქტიკაა, ვიდრე სტრატეგია. თუ ტრამპი ისრაელის პოზიციას დაიკავებს, ამით შიიტები და სუნიტები გაერთიანდებიან და ეს აისახება არა მარტო სირიაზე, არამედ მთელს მუსლიმანურ სამყაროზე. უკვე განაცხადეს, რომ წყვეტენ სამშვიდობო მოლაპარაკებას და გადადის ფარულ ომში, რომელიც შემდგომ უკვე ღია იქნება.

როგორ იქნება დაცული ისრაელის ინტერესები მისი ნომერ პირველი მოკავშირის, ამერიკის მეშვეობით, გამოჩნდება. ისრაელის პრემიერს ძალიან უჭირდა ობამას ადმინისტრაციასთან ურთიერთობა. აქ მნიშვნელოვანია ევროპის პოზიცია, რომელიც არ არის ერთმნიშვნელოვანი. სატელიტების პოზიციაზე არ ვსაუბრობ. ისევე, როგორც კოსოვოს შემთხვევაში აზრი გაიყო და ფუნდამენტალისტურმა, ტრადიციულმა სახელმწიფო ინსტიტუტებმა, რომელიც ძირითადად რაფინირებულ მონარქიულ ინსტიტუტებზე იქნა აგებული, როგორიც არის დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, პოლანდია, კოსოვოს დამოუკიდებლობას მხარი არ დაუჭირა. ევროპის სახელმწიფოების მეორე ნაწილმა, რომელსაც ასეთი მოწყობის ტრადიცია არ ჰქონდა, ღიად დაუჭირა მხარი ამერიკას და მოხდა დაპირისპირება.

***— ამ შემთხვევაში ზოგიერთებმა აღიარეს.***

— ამ შემთხვევაშიც, მაგალითად, შვედეთმა და სხვებმა, ფაქტობრივად, აღიარეს პალესტინის დამოუკიდებლობა.

***— ერთი მხრივ, ამერიკის ხელისუფლების მიერ კოსოვოსთან დაკავშირებით პოზიციის ცვლილება ჩვენთვის დადებითი ფაქტორია, ჩვენი სეპარატისტული რეგიონების გამო, მაგრამ მეორე მხრივ, ძალიან რთულ ვითარებაში აღმოვჩნდით.***

— ფაქტობრივად, ტრამპის აზრის ალყაში ვართ.

***— ჩვენ სტრატეგიულ პარტნიორს ვერ ვუჭერთ მხარს იმის გამო, რომ ისრაელისთვის მხარდაჭერის შემთხვევაში შეიძლება მთელმა მუსლიმანურმა სამყარომ ჩვენი სეპარატისტული ტერიტორიები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიაროს.***

— ორმაგი საშიშროება გვემუქრება. თუ გახსოვთ, ობამას ადმინისტრაციის გავლენით საქართველომ პალესტინას დაუჭირა მხარი, სიმპათია გამოხატა. დღეს იერუსალიმიც ორ ნაწილად არის გაყოფილი — დასავლეთი და აღმოსავლეთი. ეს კიდევ ცალკე სადავო თემებია. ყოველ შემთხვევაში, ზოგადად, საკითხის, რომელიც პალესტინის დამოუკიდებლობასთან იყო დაკავშირებული, ჰილარი კლინტონის ზემოქმედებით მხარდაჭერა გამოხატა.

***— ოცნების ხელისუფლებამ?***

— დიახ. ოცნების ხელისუფლებამ მხარდაჭერა გამოხატა. ეს გადაწყვეტილებაც საქართველოს დილემის წინაშე აყენებს.

***— ამას ისიც ემატება, რომ ამ ისტორიაში ჩვენ ვდგავართ ამ აღიარების მოწინააღმდეგე ორ დიდ სახელმწიფოს, თურქეთსა და რუსეთს შორის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტრამპის გადაწყვეტილებას.***

— რუსეთი ისრაელს დაუჭერს მხარს.

***— რამდენადაც ვიცი, განცხადება გამოაქვეყნეს, რომ ტრამპის გადაწყვეტილებას არ იწონებენ.***

— ისინი ისრაელს ღიად უჭერდნენ მხარს. თუმცა, დიდ სახელმწიფოს, როგორიც არის რუსეთი, შეუძლია შეცვალოს თავისი დამოკიდებულება და პასუხსაც ვერავინ მოსთხოვს.

***— ამ შემთხვევაში საქართველომ როგორი პოზიცია უნდა დაიჭიროს?***

— ამ შემთხვევაში საქართველომ ნეიტრალური პოზიცია უნდა დაიჭიროს. უნდა განაცხადოს, რომ აღნიშნული საკითხი უნდა გადაწყდეს მოლაპარაკებით, მშვიდობიანი გზებით. მშვიდობიანი მოწესრიგების პოზიციით ვერთვებით ამ პროცესში და იგივე ჭრილში ვუყურებთ ამ საკითხსო. ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მხრიდან ასეთი დიპლომატიური განცხადების გაკეთება შეიძლება. არც ერთ ვარიანტში მხარდაჭერის გამოხატვა არ შეიძლება.

***— ამ საკითხთან დაკავშირებით საზოგადოება გაყოფილია. ერთნი უაპელაციოდ მოითხოვენ, რომ საქართველომ ღიად მხარი დაუჭიროს, მეორენი ამბობენ, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება, რადგან ჩვენს ინტერესებზე და ოკუპირებულ ტერიტორიებზე უნდა ვიფიქროთ.***

— ჩვენი სახელმწიფოს აქილევსის ქუსლი ხელისუფლებაში მყოფი ადამიანებია. იმის მაგივრად, რომ ხელისუფლებამ ფართომასშტაბიანი ისტორიული ამოცანები შეასრულოს და პრობლემები გაანეიტრალოს, გამსახურდიას ხელისუფლებას თუ გამოვრიცხავთ, დანარჩენი ხელისუფლებები ზრუნავდნენ პარტიებისა და საკუთარ კეთილდღეობაზე. არ ხდება სტრატეგიული და პოლიტიკური თემების განხილვა.

***— ამ შემთხვევაში, ერთ-ერთმა დეპუტატმა პრემიერს ღია წერილით მიმართა, რომ იერუსალიმი ისრაელის დედაქალაქად აღიაროს. თქვენ ხელისუფლებაში იყავით, ასეთი ქმედებები დასაშვებია? ასეთი ფორმა რამდენად მისაღებია? პრემიერმა თქვა, რომ მისთვის უმრავლესობის წევრის მიმართვის ასეთი ფორმა მიუღებელია.***

— ასეთი მიმართვა მიუღებელია. რატომ უნდა ჩავერთოთ გიგანტების ომში. თუ ჩაერთვები ამ კონფრონტაციაში, შედეგები ძალიან სავალალო იქნება. ამიტომ არის აუცილებელი ნეიტრალიტეტი. სტრატეგიული, გეოპოლიტიკური პოზიციებიდან გამომდინარე, საქართველომ უნდა მოუწოდოს პრობლემის მშვიდობიანი დარეგულირების პოზიციით.

***— გონივრული პოლიტიკის შემთხვევაში ეს მომენტი შეიძლება ჩვენს სასარგებლოდაც გამოვიყენოთ და სეპარატისტებმა იგრძნონ, რომ სეპარატიზაციისა და სახელმწიფოებისაგან ტერიტორიების გაყოფის პროცესი არ მიმდინარეობს. იგივე ესპანეთმა არ დაუშვა კატალონიის გამოყოფა და მისი ტერიტორიების დეზინტეგრაცია.***

— ყოველთვის შეიძლება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გამოყენება. ვიმეორებ, აქ საჭიროა ნეიტრალიტეტი. საქართველოს ხელისუფლებამ ჩვენი სტრატეგიული პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ამ საკითხში ნეიტრალიტეტის ნებართვა უნდა მიიღოს.

# გიორგი მარგველაშვილი: „სამწუხაროდ, ჩვენ ვართ ძალადობისკენ მიდრეკილი საზოგადოება“



სამწუხაროდ, ჩვენ ვართ ძალადობისკენ მიდრეკილი საზოგადოება, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

პრეზიდენტი ხორავას ქუჩაზე მომხდარ მკვლელობას და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გამოეხმაურა.

— ბოლო დროს განვითარებული მოვლენები, როცა ერთი დღე-ღამის განმავლობაში ჩვენი საზოგადოება შეეჯახა სამი ახალგაზრდის მკვლელობას, ის რეაქცია, რომელიც ამას მივეცით, ნათლად გვიჩვენებს, რომ უფრო უნდა გავიაზროთ თითოეული მოქალაქის როლი, უნდა გავიაზროთ, რა როლს ვთამაშობთ, როგორც ერთიანი საზოგადოებრივი სხეულის შექმნის პროცესში. არა მარტო როგორც სამართალდამცავები, როგორც კანონმდებლები და როგორც პოლიტიკოსები, არამედ როგორც საზოგადოების წევრები. თვალი უნდა გავუსწოროთ იმ მოვლენას, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, ვართ ძალადობისკენ მიდრეკილი საზოგადოება, საზოგადოება, რომლისთვისაც ძალადობა და ერთმანეთთან ძალადობის ენით საუბარი არის მისაღები და ხშირ შემთხვევაში — მოსაწონი. მხოლოდ მკვლელობა არ არის ძალადობა. შევხედოთ, როგორც ვურთიერთობთ ერთმანეთთან — აგრესიული ადამიანი, რომელიც აგრესიის ფორმით გამოხატავს თავის პოზიციას, აბსოლუტურად მისაღები და გასაგებია, — განაცხადა პრეზიდენტმა.

* * *

— რელიგიას ჩვენ ვაქცევთ ერთმანეთისთვის თავში ტაბურეტის ჩარტყმის საშუალებად, რაც უფრო აგრესიულად გამოვდიოდი ან გამოვდივარ, მით უფრო მოსაწონი ვარ ხოლმე საზოგადოებისთვის, — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა განაცხადა.

— რელიგიას, რომლის ორი ამოსავალი ძირითადი ფუნდამენტური ღირებულება არის ის, რომ გიყვარდეს მტერი შენი და ნუ განიკითხავ სხვა ადამიანს, ჩვენ ვაქცევთ ერთმანეთისთვის თავში ტაბურეტის ჩარტყმის საშუალებად. ის ადამიანები, ვინც ამის წინააღმდეგ გამოდიან, ხშირად მათი რიტორიკაც სავსე არის აგრესიით. თუ მკითხავთ პოლიტიკაზე, მე გეტყვით, რომ ყველაზე მეტად დაფასებული არის პოლიტიკოსი, რომელიც თავის პოზიციას აგრესიულად გამოხატავს. როგორც პოლიტიკოსი, გეტყვით სამწუხარო რეალობას, რაც უფრო აგრესიულად გამოვდიოდი ან გამოვდივარ, მით უფრო მოსაწონი ვარ ხოლმე საზოგადოებისთვის. მით უფრო მეტად მოსწონთ — მიდი უფრო აგრესიული და შემტევი იყავი. ეს არის ის სივრცე, რომელშიც ჩვენ ვტრიალებთ. ამ სივრცეში მერე არ უნდა გაგვიკვირდეს ალბათ, რომ ჩვენი შვილი იქნება აგრესიის მსხვერპლი. აგრესიის მსხვერპლია ნებისმიერი ბავშვი, იქნება ის დაჭრილი თუ ის, ვინც დაჭრის, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

პრეზიდენტმა განცხადება ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ გამართულ ღონისძიებაზე გააკეთა. გიორგი მარგველაშვილის შეფასებით, ამ პროცესში როლი არ იწყება მხოლოდ ქალებით ან ბავშვებით.

— ამ პროცესის შეცვლაში როლი იწყება ძლიერთაგან ამა ქვეყნისათა. არა მხოლოდ მთავრობებით, არამედ იმ ადამიანებისგან, ვინც ძლიერად გრძნობენ თავს ამ საზოგადოებაში, — განაცხადა მარგველაშვილმა და მიმართა ადამიანებს, რომლებსაც თავი ძლიერად მიაჩნიათ.

— თუ თქვენი ყოველდღიური ყოფა სავსე იქნება არა იმით, თუ როგორ დაჩაგრეთ ადამიანი, არამედ იმით, როგორ შეუმსუბუქეთ სხვა ადამიანს ცხოვრება, მხოლოდ ამ მომენტიდან შეიცვლება თქვენი მეზობელი ქალბატონის ან თქვენი მეგობრის შვილის ცხოვრება, — განაცხადა პრეზიდენტმა.

# თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური შევა



თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური შევა. 2018 წლის დასაწყისიდან, თიანეთის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო აუდიტის სამსახური შევა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ თიანეთის მერმა თამაზ მეჭიაურმა განუცხადა.

მისივე განცხადებით, აუდიტის სამსახურს მან პირადად მიმართა.

— შემოწმება აუცილებელია, თუნდაც იმისთვის, რომ ვიცოდეთ, რა რეალური სურათია ფინანსების ხარჯვის კუთხით. ძალიან არასახარბიელო მდგომარეობა დამხვდა. უკვე გახარჯულია გარკვეული პროგრამების ბიუჯეტი — სოციალური მიმართულებით, ასევე კულტურული ღონისძიებებისთვის განკუთვნილი, გარე განათების მოწყობის და ა.შ. ვეძებთ უკვე საკრებულოსთან ერთად გზებს, რომ სხვა მუხლებიდან მოვახერხოთ ამის დაფინანსება, რათა არ შეწყდეს სხვადასხვა სამსახურების ნორმალური ფუნქციონირება. საკრებულო ჩემ მიმართ ოპოზიციურია — 2/3 „ქართული ოცნებისაა“, მაგრამ ვახერხებთ ოქროს შუალედის მონახვას. თუმცა, არის სალი ძალებიც უმრავლესობაში, რომლებიც რაიონის ინტერესს წინა პლანზე აყენებენ, თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ცდილობენ პროცესი შეაფერხონ, — განაცხადა მეჭიაურმა.

მისივე განცხადებით, მომავალი წლიდან თიანეთის მერიაში აუდიტის სამსახური გეგმური შემოწმების ფარგლებში შევა.

— თავის გეგმაში ეს უკვე ჩასმული აქვს და რამდენადაც ჩემთვისაა ცნობილი, ეს შემოწმება წლის დასაწყისში დაიწყება. ალბათ, მოხდება იმის გამოაშკარავება, თუ როგორ ხდებოდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა და რამდენად მიზნობრივი იყო ის. ჩვენი ძალებითაც, შიდა აუდიტის მეშვეობით, ვამოწმებთ სხვადასხვა მიმართულებებს. იმედი მაქვს, თანდათან მართვას დაექვემდებარება სიტუაცია, — განაცხადა მეჭიაურმა და დასძინა, რომ პირველადი შეფასებით, შესაძლოა, სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებიც გამოიკვეთოს.

— არაფერს გამოვრიცხავ. არ მინდა ეს იყოს შემოწმება შემოწმებისთვის, რომ მეისრეები დაისაჯონ. აქ ჩემთვის საინტერესოა, რომ მივიდეთ იქამდე, საიდანაც ხდებოდა წახალისება ამ დარღვევების. შესაძლებელია ეს იყო ადგილობრივ დონეზეც, მაგრამ ვფიქრობ, ეს იყო მაღალი ეშელონებიდან და არა კერძო ინიციატივით ჩადენილი ქმედებები. მე არ გავუსწრებ მოვლენებს წინ და დაველოდები შედეგებს. ჩემგან უკვირთ, აუდიტი შემოყავსო და კახა კალაძემაც იგივე გააკეთა. არადა, მას სრული მხარდაჭერა ჰქონდა თავისი გუნდიდან. მე სხვისი ნამოქმედარის შემოწმება მაინტერესებდა, კალაძეს კი თავისი გუნდის წარმომადგენლის. როგორც ჩანს, დაინახა რაღაც პრობლემები და მასაც აინტერესებს, დაიწყოს ათვლა იმ რეალობიდან, რა რეალობაშიც არის ქალაქი. ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე ყველაზე ნაკლები უნდა იყოს პოლიტიზირების მაჩვენებელი, — განაცხადა მეჭიაურმა.

# საახალწლო ღონისძიებებში ბიზნესიც ჩაერთო

დედაქალაქში მთავარი ნაძვის ხე 15 დეკემბერს აინთება, ხოლო მთავარი საახალწლო ღონისძიებები თბილისის გარეუბნებში ჩატარდება, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. კახა კალაძის განცხადებით, საახალწლო ღონისძიებებში ბიზნესიც ჩაერთო, კერძოდ, კომპანიების ჩართულობით სადღესასწაულოდ მოირთვება არაერთი ბაღი და სკვერი. ასევე საქართველოს ბანკის ჩართულობით განახლებულ ალმაშენებლის გამზირზე „დღესასწაულს მოაწყობს 70 სტარტ-აპერი".

კახა კალაძემ ის კომპანიები დაასახელა, ვინც მერიასთან ერთად თბილისელების სადღესასწაულო განწყობაზე იზრუნებს. ესენია მაგთი, საქართველოს ბანკი, ვისოლი, ვითიბი, ლიბერთი, პსპ, კოკა-კოლა, სოკარი, ტავ-ჯორჯია, ჯორჯიან მანგანეზი, გალფი, ბორჯომი,RMG, ჯიპიაი, ჯეოსელი ალდაგი, არქი ჯგუფი, GWP, აისი და ლიკანი.

– თუ სხვა კომპანიებსაც აქვს სურვილი საახალწლო ღონისძიებებში მიიღონ მონაწილეობა, ჩვენი კარი ღიაა და მგონია ერთად შევძლებთ საინტერესო საახალწლო დღეები ვაჩუქოთ ჩვენი



ქალაქის მცხოვრებლებს, – აღნიშნა კალაძემ.

კახა კალაძე წელს თბილისს არა მხოლოდ ყველაზე განსხვავებულ, არამედ ყველაზე სახალხო ახალ წელს ჰპირდება. მისი თქმით, მთავარი ნაძვის ხე საახალწლო ილუმინაციებთან ერთად 15 დეკემბრიდან აინთება. წელს პირველად მთავარი საახალწლო ღონისძიებები ჩატარდება თბილისის გარეუბნებშიც. სადღესასწაულო კონცერტები გაიმართება დედაქალაქის სამ რაიონში – ეს არის გლდანი, სამგორი და ძველი თბილისი. ამასთან, დედაენის ბაღში განთავსდება საახალწლო ქალაქი, სადაც 2 კვირის განმავლობაში გაიმართება კონცერტები, მსვლელობები და სპორტული ღონისძიებები, გაიხსნება ღია კინოთეატრი, საციგურაო მოედანი და ატრაქციონების პარკი.

– დარწმუნებული ვარ, ყველა თბილისელს გაახარებს ის სიახლეები, რომელსაც თბილისის მერია ჩვენს მოსახლეობას სთავაზობს. წელს თბილისს არა მხოლოდ განსხვავებული ფორმატის, არამედ ყველაზე სახალხო ახალი წელი ექნება. დედაქალაქში მთავარი ნაძვის ხე 15 დეკემბერს აინთება და ახალი საახალწლო განათებებით მორთული ქუჩები თბილისელებსა და ჩამოსულ სტუმრებს სწორედ 15 დეკემბრიდან გაახარებს. წელს პირველად, მთავარი საახალწლო ღონისძიებები თბილისის გარეუბნებში ჩატარდება.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საახალწლო კონცერტში წელს მონაწილეობას ბევრი მომღერალი მიიღებს. ჩვენ საბოლოოდ უნდა დავანგრიოთ ის სტერეოტიპი, რომ მომღერლების არჩევა გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების გამო ხდებოდა. ეს პირადად ჩემთვის მავნე პრაქტიკაა, რაც ჩვენი გუნდისთვის მიუღებელია. გპირდებით, რომ წელს თქვენთვის ძალიან ბევრი საყვარელი მომღერალი იმღერებს. ასევე, არანაკლებ საგულისხმოა, რომ მაქსიმალურად ვეცდებით, თბილისის საკვანძო ქუჩები არ გადაიკეტოს, რადგან მოსახლეობას თავისუფლად გადაადგილების საშუალება ჰქონდეს, – აღნიშნა დედაქალაქის მერმა.

კახა კალაძის განცხადებით, აღსანიშნავია ისიც, რომ 31 დეკემბერს, საახალწლო ღონისძიებებზე დასწრების მსურველებს თბილისის „მეტროპოლიტენი" მთელი ღამის განმავლობაში მოემსახურება. ასევე, იმოძრავებს საზოგადოებრივი ტრანსპორტი.

# „ოცნებაში" პრეზიდენტის არჩევის წესზე ვერ თანხმდებიან

ნათია ხურცილავა

**პარლამენტის თავმჯდომარის იურიდიულ საკითხებში თანაშემწე, კონსტიტუციონალისტი თენგიზ შარმანაშვილი „ახალ თაობასთან" ინტერვიუში პრეზიდენტის არჩევის წესზე საუბრობს.**

***– ბატონო თენგიზ, „ქართული ოცნების" ერთ-ერთმა ლიდერმა მდინარაძემ განაცხადა, რომ პრეზიდენტის არჩევის წესთან დაკავშირებით გუნდში კონსულტაციები გაიმართება. საუბარია საკითხზე, პრეზიდენტი აირჩიოს არა ამრჩევთა კოლეგიამ, როგორც ეს კონსტიტუციაშია ჩაწერილი, არამედ პარლამენტმა. რა შეგიძლიათ გვითხრათ ამ საკითხზე?***

– როგორც თქვენთვის ცნობილია, მე გახლდით საკონსტიტუციო ცვლილებების საერთო-სახალხო განხილვების კომისიის წევრი. ერთ-ერთ შეხვედრაზე საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ საკითხი დაისვა, რომ იურიდიულად არ არის მთლად გამართლებული, ადგილობრივი თვითმმართველობა მონაწილეობდეს პრეზიდენტის არჩევაში. მისი განმარტებით, უფრო უპრიანი იქნებოდა, პრეზიდენტი პარლამენტმა აირჩიოს. ვინაიდან ადგილობრივი თვითმმართველობა ხელისუფლების ადმინისტრაციული დონეა და პოლიტიკურ დონეს არ წარმოადგენს, მისი მონაწილეობა პოლიტიკური ხელისუფლების ჩამოყალიბებაში სათუო გახადა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარემ.

ამ შეხვედრის შემდეგ დისკუსია გაიმართა. მანამდეც იყო ასეთი მოსაზრება, მაგრამ თქვენ იცით, რომ ეს გადაწყვეტილება კომპრომისის შედეგი იყო. არავინ იცოდა, როგორი საარჩევნო სისტემა იქნებოდა და იქნებოდა თუ არა სრული პროპორციული წესით არჩევნები ბონუსის გარეშე. ამ შემთხვევაში რომ აერჩია პრეზიდენტი პარლამენტს, მაშინ შეიძლება ერთპარტიული ყოფილიყო. ვინაიდან ახლა იცვლება საარჩევნო სისტემა, უკვე არ არსებობს იმის თქმის საფუძველი, რომ პრეზიდენტი ერთპარტიული არჩევნების შედეგად იქნება არჩეული.

***– პრეზიდენტის არჩევის წესზე, კოლეგია აირჩევს თუ პარლამენტი, მმართველ გუნდში არაერთგვაროვანია პოზიციები?***

– ჯერ ესეც კი არ არის ცნობილი. ეს ახალი ამბავია. როგორც გითხარით, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის პოზიციას მოჰყვა ეს დისკუსიები, ამიტომ ყველა მხარე ჩამოყალიბებული არ არის. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესი. ჩემთვის გასაგებია, რომ მმართველ გუნდს სჭირდება შიდა დისკუსიები. ჯერ ამ საკითხზე ფართო მსჯელობა და დისკუსია არ გამართულა. პოზიციები უცნობია, დასადგენია, ვინ რას უჭერს მხარს და ვის რა პოზიცია აქვს.

***– თქვენ, როგორც კონსტიტუციონალისტს, რომელი მიგაჩნიათ სამართლებრივად უფრო სწორად?***

– მე ჯერ კიდევ კარგა ხნით ადრე ვამბობდი, რომ უკეთესია, პარლამენტმა აირჩიოს პრეზიდენტი. სამართლებრივი თვალსაზრისით ამ შემთხვევაში პარლამენტის მიერ არჩევა უფრო გამართლებული იქნებოდა.

***– საარჩევნო კოლეგიაში გათვალისწინებულია ავტონომიების ხმები, ადგილობრივი თვითმმართველობის ხმები. პარლამენტში ასე მძლავრად იქნებიან ისინი წარმოდგენილი?***

– ამ შემთხვევაში იურიდიულ მხარეზეა საუბარი და არა პოლიტიკურზე. იურიდიული და პოლიტიკური მხარე ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ. როდესაც ამ საკითხზე საუბრობდა საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე, მაშინ ის პოლიტიკაზე არ ფიქრობდა. ის პოლიტიკოსი არ არის. კონსტიტუციონალისტები პოლიტიკოსები არ არიან.




***– სამართლებრივად რა არგუმენტია?***

– სამართლებრივად დგება ეჭვქვეშ ადმინისტრაციული დონის მონაწილეობა პოლიტიკური დონის ფორმირებაში. ეს პოზიცია თეორიულად აბსოლუტურად სწორია. ასეთი პრეცედენტი, იქ, სადაც არაპირდაპირი წესით ირჩევენ პრეზიდენტს და ადგილობრივი თვითმმართველობა მონაწილეობდეს არჩევნებში, არ არსებობს. ერთადერთი პრეცედენტი ესტონეთშია. ესტონეთშიც თავიდანვე კი არ მონაწილეობს, მონაწილეობს მას შემდეგ, რაც პარლამენტი ვერ შეძლებს პრეზიდენტის არჩევას. მხოლოდ რამდენიმე მცდელობის შემდეგ ერთვება თვითმართველობა არჩევნებში.

***– ბატონო თენგიზ, პარლამენტმა თუ ვერ აირჩია პრეზიდენტი და ჩააგდო კანდიდატი, მერე რა ხდება?***

– ამ შემთხვევაში ჩემი პოზიციაა, რომ მოხდეს პარლამენტის დათხოვნა და დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები.

***– როგორც მთავრობის ფორმირების შემთხვევაში ხდება?***

– დიახ, დაახლოებით ამგვარი მექანიზმი უნდა იყოს შემოღებული. პარლამენტის რიგგარეშე არჩევნები უნდა დაინიშნოს, რომ ქვეყანა არ დარჩეს სახელმწიფოს მეთაურის გარეშე. თუ პარლამენტი უუნაროა, რომ პრეზიდენტი აირჩიოს, მაშინ პარლამენტის გადარჩევა უნდა მოხდეს.

***– იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტის უმრავლესობა მხოლოდ ერთი პარტიით იქნება წარმოდგენილი, მაშინ რამდენად იქნება პრეზიდენტი ნეიტრალური ფიგურა?***

– ეს უკვე სხვა საკითხია, მთავარია, ნორმა იყოს სამართლიანი და იურიდიულად გამართული. როდესაც ამომრჩეველი ირჩევს პარლამენტს, ის იმთავითვე მას აძლევს კონსტიტუციაში გაწერილი ნორმების შესაბამის მანდატს.

***– ოპოზიციის პოზიციაა, რომ ერთპარტიულ პრეზიდენტს აირჩევს პარლამენტი, რომ ერთპარტიული პრეზიდენტი გვეყოლება.***

– ერთპარტიული პრეზიდენტი კი არ გვეყოლება, პარლამენტის მიერ არჩეული პრეზიდენტი გვეყოლება. პარლამენტი თუ იქნება დემოკრატიული, სამართლიანი წესით არჩეული, რასაც შერეული არჩევნები ვერ უზრუნველყოფს, მაშინ აქ კითხვის ნიშანი მოიხსნება.

***– თქვენ სამართლებრივად აფასებთ, მაგრამ ოპოზიცია გამოვა და იტყვის, რომ ერთი პარტიის მიერ იქნება არჩეული პრეზიდენტი. ოპოზიციის ამ პოზიციაში ლოგიკა არ არის?***

– იქნებ ოპოზიცია მოდის 2024 წელს არჩევნებში და ის იყოს პარლამენტში უმრავლესობით წარმოდგენილი. ამიტომ იმთავითვე ასეთი მიდგომა არასწორია მათი მხრიდან.

# აფხაზური დიასპორა რეპატრიანტებისათვის შეღავათებს ითხოვს

მარიამ მჭედლიშვილი

**ცნობილია, რომ აფხაზეთში მცხოვრებ ქართველებს აფხაზეთის მოქალაქეობას არ აძლევენ. მათთვის განსაზღვრულია ბინადრობის მოწმობების დარიგება, რომლითაც საკუთარ ქონებასაც ვერ დაიკანონებ.**

ოკუპანტ რუსეთთან ყველა სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის მიუხედავად, აფხაზების უმრავლესობა წინააღმდეგია, რომ ამ სახელმწიფოს წარმომადგენლებს აფხაზეთში მათთან გატოლებული უფლებები ჰქონდეთ.

ამ სიტუაციაში გასაკვირი არაა, რომ აფხაზეთში ამ დღეებში მწვავედ აღიქვეს ერთი გავრცელებული ინფორმაცია. ამ ინფორმაციით, აფხაზეთის ოფიციალური პირები მოსკოვში განიხილავენ რუსეთის მოქალაქეებისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭების საკითხს.

საქმე საპროტესტო გამოსვლებამდე რომ არ მისულიყო, საოკუპაციო რეჟიმმა ხალხი დაამშვიდა



და ამ ინფორმაციას ტყუილი უწოდა.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე დიმიტრი შამბამ საზოგადოებას აუწყა, რომ მოსკოვში გამართული კონსულტაციები მოქალაქეობის თემას შეეხო, თუმცა სხვა მიმართულებით წარიმართა. საუბარია აფხაზეთში მცხოვრებლებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მიცემაზე. 2.008 წელს შეჩერდა პრაქტიკა, რომლითაც, აფხაზეთის მოქალაქეები რუსეთის მოქალაქეობას გამარტივებულად იღებდნენ. დღეს მხარეები მსჯელობენ იმაზე, რომ პროცესი აღდგეს აფხაზეთის იმ მოქალაქეებისათვის, რომლებმაც რუსეთის მოქალაქეობის გაფორმება 2.008 წლამდე ვერ მოასწრეს.

– არ არსებობს აფხაზურ-რუსული შეთანხმების არცერთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს რუსეთის მოქალაქეებისათვის აფხაზეთის მოქალაქეობის მინიჭებას, – განმარტავს მოხელე.

მისივე სიტყვებით, 2.014 წელს გაფორმებულ მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაში ამ საკითხს ერთი მუხლი ეძღვნება. მასში ნათქვამია, რომ რუსეთის ფედერაცია მიიღებს დამატებით ზომებს იმისათვის, რომ გამარტივდეს აფხაზეთის მოქალაქეების მიერ რუსეთის მოქალაქეობის მიღების პროცედურები.

ითვლება, რომ საოკუპაციო რეჟიმი განსაკუთრებულ პრივილეგიებს ანიჭებს აფხაზ რეპატრიანტებს, რომლებიც სხვა ქვეყნებიდან ჩამოდიან აფხაზეთში და ბიზნესსაქმიანობას მისდევენ. როგორც გაირკვა, აფხაზურ დიასპორას თურქეთში პრეტენზიები აქვს.

სოხუმში 7 დეკემბერს გაიმართა აფხაზ-აბაზინთა მსოფლიო კონგრესი. ეს შეკრება ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. კონგრესზე გამოსულმა აფხაზური დიასპორის ერთ-ერთმა ლიდერმა რეჯეპ აგრბამ რეპატრიანტებისათვის უკეთესი პირობები მოითხოვა:

– ჩვენს თანამემამულეებს, რომლებსაც სურთ შეინარჩუნონ მჭიდრო კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან, უნდა მიეცეთ აფხაზეთში მისაღებ ფასად საცხოვრებლის ყიდვის უფლება.

მისი თქმით, აფხაზები, რომლებიც მზად არიან, ჩადონ საკუთარი შრომა და კაპიტალი აფხაზეთის ეკონომიკაში, ბევრ სიძნელეს აწყდებიან ბიუროკრატიისა და შეღავათების, მათ შორის, საგადასახადო შეღავათების უქონლობის გამო.

ზედმეტი სამინისტროებისა და დიდი ბიუროკრატიის გამო აფხაზეთში სულ უფრო მეტი უკმაყოფილება გამოითქმის. თუ საოკუპაციო რეჟიმი თურქული დიასპორის წინადადებას მიიღებს, მაშინ აფხაზეთში კიდევ ერთი სამინისტრო ჩამოყალიბდება.

აფხაზურ დიასპორას თურქეთში მიაჩნია, რომ რეპატრიაციის სახელმწიფო კომიტეტი სამინისტროდ უნდა გარდაიქმნას.

# „ჩვენი თვითმიზანი არ არის სოციალური მიმართულებების გაზრდა ბიუჯეტში, ჩვენი მიზანია ამ ადამიანების ამოყვანა გაჭირვებიდან“



– დღეს დედაქალაქი გახდა ერთგვარი თავშესაფარი ჩვენი მოქალაქეებისთვის, ეს არ არის განპირობებული რეგიონებში კარგი ცხოვრებით, – ამის შესახებ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ თბილისის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ზარქუამ განაცხადა. მანვე იმ გეგმაზე ისაუბრა, რომლითაც დედაქალაქის მთავრობა თბილისში მიგრაციის პრობლემას მოაგვარებს.

– დღეს დედაქალაქი გახდა ერთგვარი თავშესაფარი ჩვენი მოქალაქეებისთვის, ეს არ არის განპირობებული რეგიონებში კარგი ცხოვრებით. როგორც არასდროს, ისეა მოწადინებული მთავრობა დღეს, რომ მოსახლეობა იყოს რეალიზებული თავისი უნარჩვევებით და დასაქმდეს ადგილობრივად. ის პროექტები, რომლებიც დაანონსებული იყო წინასაარჩევნოდ 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში, 2018 წლიდან დაიწყება და ყველაფერი ეს აისახება მოსახლეობაზე. ამით შესაძლებელი იქნება, რომ მოსახლეობა ადგილზე დასაქმდეს. აქ შემოდის ანაკლიის პორტის თემა, ენგურჰესის რეაბილიტაცია, რომელიც საუკეთესო პროექტია. ვფიქრობ, რომ 2018 წლიდან მივიღებთ უკვე განსხვავებულ სურათს. ის ადამიანები, რომლებიც დედაქალაქში ჩამოდიან საკუთარი ოჯახების გამოსაკვებად, ადგილზე უნდა დასაქმდნენ და იქ შეძლონ შემოსავლის მიღება, – განაცხადა ზარქუამ.

მანვე იმ ცვლილებებზე ისაუბრა, რომელიც კახა კალაძის გუნდმა ყოფილი მერის, დავით ნარმანიას ბიუჯეტში შეიტანა.

– 2018 წლის ბიუჯეტი, რომელიც ნოემბერში შემოვიდა, შეადგენდა 815.210.000 ლარს და, ბუნებრივია, ამ ბიუჯეტში ასახული ვერ იქნებოდა ის პრიორიტეტები და დაპირებები, რომლებიც ახალ მერს ჰქონდა. რეგლამენტის მიხედვით ჩვენ 10 დეკემბრამდე ველოდებით ახალი მერიიდან წამოსულ ბიუჯეტს.

2017 წელს ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის დაზუსტებული იყო 147 მილიონი და იზრდება დაახლოებით 190 მილიონით და 337 მილიონი გახდება. ეს ასახავს რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის ინფრასტრუქტურული პროექტები. გამწვანების მიმართულებით 13 მილიონია ახლა და 20 მილიონამდე იზრდება. ჯანდაცვის მიმართულებას რაც შეეხება, მერიის და კახა კალაძის გადაწყვეტილებით ის პროგრამები, რაც დედაქალაქში იყო, სოციალური პროგრამები 22 და პლიუს 10 საყოველთაო ჯანდაცვიდან გამომდინარე – შენარჩუნდება და 2 კომპონენტით გავზრდით. ეს არის ფარისებრი ჯირკვლის კიბოს სკრინინგი და ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამა. ამ მიმართულებით 44-დან 47 მილიონამდე ვზრდით. უფასო სასადილოების ბიუჯეტი ნაციონალური მოძრაობის დროს თუ იყო 9 მილიონი, ჩვენი მთავრობის პირობებში იქნება 17 მილიონი. თუმცა არის კითხვები და ჩვენ შევეცდებით უფრო ეფექტურად მოხდეს ამ ფინანსების განკარგვა, – განმარტავს ირაკლი ზარქუა.

თბილისის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კომისიების გაუქმების მიზეზებზე საუბრობს.

– კომისიების გაუქმებას რაც შეეხება, ეს იყო გართულებული, ბიუროკრატიული მექანიზმები, რომლებიც იქმნებოდა რაღაც კონკრეტული თემის ირგვლივ და შემდეგ შენარჩუნდა. როგორც კი მოვიდა დედაქალაქის ახალი მერი, თქვა, რომ ეს ამის გაგრძელება არ შეიძლებოდა.

2016 წელს მერიის ადმინისტრაციაში შრომითი ანაზღაურება იყო დაახლოებით 95 მილიონი, 2017 წელს ეს იყო შემცირებული 88 მილიონამდე, ხოლო 2018 წელს ნარმანიას პროექტის მიხედვით შემცირებული იყო 83 მილიონამდე – ანუ ტრენდი არის შემცირების მიმართულებით. ახალმა მთავრობამ თქვა, რომ ჩვენ თვითმიზანი არ არის შემცირება და ვიღაცების სახლში გაშვება. ჩვენ ვამბობთ, რომ შეიქმნება ისეთი მოქნილი სტრუქტურა, რომელიც ღირსეულად და ადეკვატურად მოემსახურება დედაქალაქის მოსახლეობას. ამას თუ დასჭირდება გაზრდა, არ შეგვეშინდება და დავასაბუთებთ, რომ უნდა გავზარდოთ. თუ ამას დასჭირდება შემცირება, ამ ნაბიჯსაც გაბედულად გადავდგამთ, – განაცხადა ირაკლი ზარქუამ.

მისივე განცხადებით, დედაქალაქის მთავრობამ ჯერ კიდევ არ იცის, რა სიმდიდრეს ფლობს თბილისი, ამიტომ ამ აქტივების ეკონომიკაში ჩართვა ვერ ხერხდება.

– ჩვენ წინასაარჩევნოდ გვქონდა კონკრეტული გეგმები ეკონომიკური განვითარების მიმართულებით და აქ ღამის ეკონომიკა შემოდის. სამწუხაროდ, დღეს ჩვენ არ ვიცით, დედაქალაქს რა აქტივები გააჩნია და ჩვენი გუნდი სწორედ ამაზეა აქცენტირებული, რომ ჯერ გავიგოთ, რა სიმდიდრეს ვფლობთ. როგორ შეიძლება ეს აქტივები ჩავრთოთ ეკონომიკაში, რომ შემდეგ მან უკუშედეგი მოგვცეს. ამ პროცესში ვართ და ამაში გვეხმარებიან მთელი რიგი საერთაშორისო ორგანიზაციები. ჩვენი თვითმიზანი არ არის სოციალური მიმართულებების გაზრდა ბიუჯეტში, არამედ ამ ადამიანების ამოყვანა გაჭირვებიდან. ჩვენ ვამბობდით, რომ ძველ თბილისს რეაბილიტაციას ჩავუტარებდით, მომავალ წელს ჩავატარებთ გუდიაშვილის, ორბელიანის მოედნის რეაბილიტაციას, მშრალ ხიდს – ეს დამატებით პლაცდარმს ქმნის იმისთვის, რომ ინვესტიციები ჩაიდოს. დედაქალაქი ისეთია, რომ ტურისტულად ძალიან საინტერესოა და ნაკადები წლიდან წლამდე იზრდება, – განაცხადა თბილისის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ.

# „საქართველო სოციალური უთანასწორობის მხრივ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ლიდერია“




მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, პარლამენტის სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას, ამჟამად უკვე სახალხო დამცველმა ნინო ლომჯარიამ ქვეყანაში სოციალური უთანაბრობის საკითხზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით საქართველო სოციალური უთანასწორობის მაჩვენებლით ლიდერია. ფაქტ-მეტრმა აღნიშნული განცხადების სიზუსტე გადაამოწმა.

სოციალური უთანასწორობის ერთ-ერთი სტატისტიკური საზომი არის ჯინის ინდექსი, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების დონეს ზომავს. ჯინის კოეფიციენტი 0-დან 1-მდე მერყეობს, თუ ჯინის კოეფიციენტი 1-თან ახლოსაა, ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოსახლეობას შორის შემოსავლების გადანაწილების მიხედვით უთანასწორობა მაღალია, ხოლო კოეფიციენტის დაბალი მნიშვნელობა მიუთითებს, რომ ქვეყანაში შემოსავლები შედარებით თანაბრად არის გადანაწილებული. ამ კოეფიციენტის შესახებ ფაქტ-მეტრი ადრეც წერდა.

უნდა აღინიშნოს, რომ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებისთვის ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონის შესაბამისად დამახასიათებელია შემოსავლების არათანაბარი გადანაწილება, რაც სოციალური უთანასწორობის ინდექსს სხვადასხვა ნიშნულზე ამყოფებს. როგორც წესი, მაღალგანვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის სოციალური უთანასწორობის ინდექსი გაცილებით დაბალია, ხოლო განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებისთვის ჯინის ინდექსი შედარებით მაღალია. გაეროს მონაცემებით, ყველაზე დაბალი ჯინის კოეფიციენტი სკანდინავიის ქვეყნებისთვის (ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია, ისლანდია) არის დამახასიათებელი. რაც ნიშნავს, რომ აღნიშნულ ქვეყნებში მოსახლეობას შორის შემოსავლების მიხედვით უთანაბრობა დაბალია.

საქართველოში ჯინის კოეფიციენტი შედარებით მაღალია, თუმცა, წლების განმავლობაში, ეკონომიკურ ზრდასთან ერთად ჯინის კოეფიციენტი შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით საქართველოში სოციალური უთანასწორობის ინდექსი 2011-2015 წლებში მცირდებოდა. მაგრამ, მიუხედავად კლების ტენდენციისა, ჯინის კოეფიციენტი მნიშვნელოვნად არ შემცირებულა, ხოლო 2016 წელს 0.01 პუნქტით გაიზარდა.

ჯინის ინდექსი ზომავს შემოსავლების გადანაწილებას მოსახლეობას შორის და არა მოსახლეობის შემოსავლების ზრდას. შესაძლებელია ინდექსის კლებადობა მოსახლეობის მდიდარი ნაწილის გაღარიბებით და ამავდროულად ღარიბი ნაწილის შემოსავლების ზრდით იყოს გამოწვეული. მაგალითისთვის, ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში შემოსავლები თანაბრად იყო განაწილებული, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა და ცხოვრების დონე მაღალი იყო.

გაეროს მონაცემებით, საქართველოს, რუსეთის ფედერაციის შემდეგ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს შორის ჯინის ყველაზე მაღალი კოეფიციენტი აქვს, რაც ნიშნავს რომ სოციალური უთანასწორობა გაცილებით მაღალია. საქართველოს შემდეგ სოციალური უთანასწორობის მაღალი მაჩვენებლით მესამე ადგილზე არის ლიტვა.

გასული წლების განმავლობაში საქართველოში სოციალური უთანასწორობის კოეფიციენტი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა, თუმცა აღნიშნული შემცირება არ იყო მაღალი.

2016 წლის მონაცემებით საქართველოში ჯინის კოეფიციენტი 0.01 პუნქტით გაიზარდა და 0.40 შეადგინა.

საქართველო ჯინის ინდექსის მიხედვით, პოსტ საბჭოთა ქვეყნებს შორის რუსეთის შემდეგ მეორე ადგილზე იმყოფება, რაც ნიშნავს, რომ ქვეყანაში სოციალური უთანასწორობა ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებთან შედარებით გაცილებით მაღალია.

შესაბამისად, ნინო ლომჯარიას განცხადება არის სიმართლე.

# საქართველოში ქალები კაცებთან შედარებით 35%-ით ნაკლებ ხელფასს იღებენ




– საქართველოში 40%-ზე მეტი ქალი ეკონომიკურად არააქტიურია, დასაქმებული ქალები კი კაცებთან შედარებით 35%-ით ნაკლებ ხელფასს იღებენ, – ამის შესახებ გაერო-ს განვითარების პროგრამების მუდმივი წარმომადგენლის მოადგილემ საქართველოში შომბი შარპმა შესაბამისი კვლევის – „ქალთა ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში: არსებული პოლიტიკის და ინიციატივების ანალიზი“ პრეზენტაციაზე განაცხადა.

როგორც შომბი შარპმა აღნიშნა, „პარადოქსული სიტუაცია მდგომარეობს იმაში, რომ ქალები ძალიან ხშირად უფრო კვალიფიციურები არიან, ვიდრე კაცები“. მისი შეფასებით, კვლევის შედეგებით ჩანს, რომ ძალიან დიდი გამოუყენებელი რესურსია ქალების სახით, რომელიც აკლდება საქართველოს ეკონომიკას.

– კვლევის შედეგად შესწავლილი იქნა საქართველოში ქალთა ეკონომიკური გაძლიერების შესაძლებლობები. კვლევის შედეგად გამოაშკარავდა, რომ ქალები არასაკმარისად არიან დასაქმებულები ფორმალურ ეკონომიკაში – დაახლოებით 40%-ით ნაკლებია ქალების რიცხვი მამაკაცებთან შედარებით, ქალების ხელფასი კი 35%-ით დაბალია, ვიდრე მამაკაცების. ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტების დაახლოებით 11%-ია, რომელსაც საქართველო კარგავს. ჩვენი რეკომენდაციაა, გაძლიერდეს თანამშრომლობა მთავრობას, არასამთავრობო სექტორსა და ბიზნესს შორის არსებული სიტუაციის გასაუმჯობესებლად. ეს მოხდება საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით იმისთვის, რომ საქართველომ შეიმუშავოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის, – განაცხადა შომბი შარპმა.

კვლევა გაერო-ს განვითარების პროგრამისა და კავშირის „საფარი“ ერთობლივი მუშაობის შედეგად დაიდო. „საფარის“ აღმასრულებელი დირექტორის, ბაია პატარაიას განცხადებით, ქალების მხოლოდ 17% ფლობს სასოფლო-სამეურნეო მიწებს, რაც ამტკიცებს იმას, რომ მათ რესურსებზე წვდომა არ აქვთ და შესაბამისად, აქტიურად არ არიან ჩართულები ეკონომიკაში.

– როგორც მოსალოდნელი იყო, კვლევამ აჩვენა, რომ ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კუთხით საქართველოში არაფერი გაკეთებულა. სახელმწიფო პროექტები არ ითვალისწინებს გენდერულ კომპონენტს ცალკე აღებულს. სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტებში, პრაქტიკულად, არ გვხდება სიტყვა „ქალი“. ეკონომიკაში ქალების ნაკლებობა უკავშირდება საქართველოში არსებულ გენდერულ უთანასწორობას, – განაცხადა ბაია პატარაიამ.

კვლევა საქართველოს მასშტაბით ჩატარდა და ეფუძნება იმ დოკუმენტაციას, რომელიც ბოლო ათი წლის განმავლობაში ორიენტირებული იყო ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებაზე.

# საუკეთესო ენერგეტიკული სისტემის მქონე ქვეყნების რეიტინგში

## საქართველო 71-ე ადგილზეა



125 ქვეყნის მონაცემებით რეიტინგი „მსოფლიო ენერგეტიკულმა საბჭომ“ მოამზადა, სადაც საქართველო მკვეთრად ჩამორჩება უშუალო მეზობლებს: აზერბაიჯანი 31-ე პოზიციაზეა, სომხეთი – 52-ზე, რუსეთი – 44-ზე, ხოლო თურქეთი 50-ე ადგილს იკავებს.

ინდექსი ითვალისწინებს ქვეყნების მიერ ენერგოსისტემის უზრუნველყოფას 3 კრიტერიუმით: „ენერგეტიკული უსაფრთხოება“ (მონაცემში გათვალისწინებულია ენერგიის ადგილობრივი და უცხოური წყაროები, ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის საიმედოობა და მომწოდებლების შესაძლებლობა დააკმაყოფილონ არსებული და სამომავლო მოთხოვნა), „ენერგიაზე ხელმისაწვდომობა“ (უნივერსალური და ფინანსური ხელმისაწვდომობა) და „გარემოსდაცვითი მდგრადობა“ (მონაცემი აჩვენებს რამდენად კარგად მართავს ქვეყანა კომპრომისებს).

პირველ კომპონენტში საქართველო 75-ე ადგილზეა, მეორეში 79-ე პოზიციას იკავებს, გარემოსდაცვით მიმართულებაში კი, 125 ქვეყანას შორის 54-ეა.

რეიტინგის ლიდერია დანია, რომელსაც მსოფლიოში საუკეთესო ენერგეტიკული სისტემა აქვს. სამეულში შედიან შვედეთი და შვეიცარია.

# ოქროს ფასი ბოლო 5 თვის მინიმუმთან ახლოსაა




ოქროს ფასი 5 თვის მინიმუმს მიუახლოვდა, რასაც ძირითადად ამერიკული დოლარის სიმყარე განაპირობებს.

თავის მხრივ, დოლარის გამყარებას, შეერთებული შტატების საგადასახადო რეფორმის პროგრესი იწვევს. გადამწყვეტი ფაქტორი კი ამერიკის შრომის ბაზრის სტატისტიკა იქნება.

კომექსის სავაჭრო პლატფორმაზე, ტროას უნცია ოქროს ფასმა 2.00 დოლარით (0.16%), 1 251.10 დოლარამდე დაიკლო. ეს კი ივლისის შემდეგ ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

დოლარის გამყარება იმ ფაქტმა გამოიწვია, რომ აშშ-ის კონგრესმა, მთავრობის დროებითი დაფინანსების კანონს მოაწერა ხელი. ამის შემდეგ, ინვესტორებს განუმტკიცდათ იმის რწმენა, რომ მალე საგადასახადო რეფორმაც დამტკიცდება. ეს კი დოლარზე მოთხოვნას და აქედან გამომდინარე, ზრდას განაპირობებს. შესაბამისად, რისკისგან თავშესაფარ აქტივებზე, მათ შორის ოქროზე, მოთხოვნა კლებულობს.

აშშ-ის სენატსა და წარმომადგენლობით პალატას შორის, საგადასახადო რეფორმის საბოლოო ვარიანტის შემუშავებასთან დაკავშირებით, მოლაპარაკებები მიმდინარეობს. ბოლო ვადად 22 დეკემბერია დასახელებული. მთავრობის დროებითი დაფინანსებაც სწორედ ამ დრომდე გაგრძელდება.

დოლარის სიმყარეს ხელი იმ ფაქტორმაც შეუწყო, რომ აშშ-ში უმუშევრობაზე განაცხადების რიცხვი ბოლო კვირაში შემცირდა. ეს კი ეკონომიკის მდგრადი ზრდის მაჩვენებელია, რასაც თავის მხრივ, ფედრეზერვი დოლარზე საპროცენტო განაკვეთის აწევის არგუმენტად მიიღებს.

საინტერესოა, რომ ინვესტორებმა პრაქტიკულად უყურადღებოდ დატოვეს ის პოლიტიკური დაძაბულობა, რაც პრეზიდენტ დონალდ ტრამპის მიერ, ისრაელის დედაქალაქად იერუსალიმის აღიარებისადმი მხარდაჭერას მოჰყვა.

## ორსული თამუნა მუსერიძე ექიმებმა გადაარჩინეს



ტელეწამყვანი თამუნა მუსერიძე მსახიობ სანდრო მიკუჩაძისგან შვილს ელოდება. ორსულობის შესახებ ინფორმაცია თამუნამ რამდენიმე დღის წინ გაასაჯაროვა.

ამ ამბის გაჟღერებიდან მალევე ტელეწამყვანი სამშობიაროში აღმოჩნდა. თამუნამ სამშობიარო სახლში „ახალი სიცოცხლე" გადაღებული ფოტო ინტერნეტში გაავრცელა და განაცხადა, რომ ჰემატომა გაუსკდა და სამშობიარო სახლში ამიტომ გადაიყვანეს. თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა და ტელეწამყვანიც და მისი შვილიც გადარჩნენ.

– დიდი მადლობა თითოეულ თანამშრომელს ყურადღებისთვის, მოვლისთვის და ყველაფრის კარგად დასრულებისთვის, – წერს თამუნა მუსერიძე.

## ანა ურუშაძე სინგაპურის საერთაშორისო კინოფესტივალზე დააჯილდოვეს

ანა ურუშაძე თავისი სადებიუტო სრულმეტრაჟიანი ფილმით „საშიში დედა" სინგაპურში დააჯილდოვეს.

ახალგაზრდა ქართველ რეჟისორს სვაროვსკის ჯილდო გადაეცა.

ანა ურუშაძის „საშიში დედა" საქართველომ წელს ოსკარზე საუკეთესო უცხოენოვანი ფილმის ნომინაციაში წარადგინა. რეჟისორის სადებიუტო ნამუშევარს უკვე წარმატებული საფესტივალო ცხოვრება აქვს.

„საშიში დედა" ლოკარნოს 70-ე საიუბილეო კინოფესტივალზე „ოქროს ლეოპარდის" მფლობელი გახდა, როგორც საუკეთესო სადებიუტო ნამუშევარი, მალევე სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალზე გრან-პრი გადაეცა, ლოს ანჯელესში აზიურ ოსკარად წოდებულ დაჯილდოებაზე კიდევ 2 ჯილდო აიღო: ჟიურის გრანპრი და საუკეთესო მსახიობი ქალის პრიზი. ეს ჯილდო მსახიობმა ნატა მურვანიძემ აიღო ფილმში შესრულებული მთავარი როლისთვის.



რამდენიმე დღის წინ კი „საშიში დედა" ესპანეთში საერთაშორისო კინოფესტივალზე დამატებით 3 პრიზით დაჯილდოვდა.

## ჯგუფმა „ბანმა" საერთაშორისო კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა




ჯგუფმა „ბანმა" საერთაშორისო ფესტივალზე საპრიზო ადგილი დაიმსახურა.

ფესტივალში, სადაც 14 ქვეყანა მონაწილეობდა, ქართველ მომღერლებს მეორე ადგილი მიაკუთვნეს.

ინფორმაცია და ჯილდოს ფოტოები ჯგუფის ოფიციალურ გვერდზე გავრცელდა:

– ესეც ჩვენი პირველი საერთაშორისო წარმატება. ფესტივალზე წარდგენილი ვიყავით საქართველოს სახელით, სადაც 14 ქვეყანა მონაწილეობდა. ერთი ქულა დაგვაკლდა ოქროს, მაგრამ, არა უშავს, ეს ჩვენთვის პირველი იყო და ვთვლით, რომ ძალიან დიდი წარმატებაა. ძალიან ძლიერი მუსიკოსები მონაწილეობდნენ, საუკეთესოები ჩინეთიდან, იაპონიიდან, ინდოეთიდან, სომხეთიდან, ლიტვიდან, შვედეთიდან, ნორვეგიიდან, გერმანიიდან, ბელგიიდან, იტალიიდან, დიდი ბრიტანეთიდან, სამხრეთ აფრიკიდან... ავიღეთ მეორე ადგილი და გავიმარჯვეთ ნომინაციაში საუკეთესო პერფორმანსი. პირველი ადგილი დაიკავა სამხრეთ აფრიკამ, ხოლო მესამე – პოლონეთმა.

## ქართველი მევიოლინე მსოფლიო ორკესტრში მიიწვიეს

ქართველი მევიოლინე ლელა მჭედლიძე 2018 წელს მსოფლიო ორკესტრში მიიწვიეს.

ინფორმაცია ლელამ თავად გაავრცელა:

– ორი საინტერესო მოწვევა მომივიდა მსოფლიო ორკესტრიდან 2018 წელს – ზაფხულში ლონდონის როიალ ალბერტ ჰოლში, ბიბისის ფესტივალზე, ხოლო შემოდგომაზე – გერმანიაში ვიურტ ფილარმონიკერთან ერთად.

დირიჟორი – ბერლინის დოიჩე ოპერას ამჟამინდელი და სან ფრანცისკოს ოპერის ყოფილი მთავარი მუსიკალური დირექტორი, ატლანტის, სენტ ლუკ სიმფონიური ორკესტრის, ბიბისი სკოტიშ სიმფონისა და ა.შ ყოფილი მთავარი დირიჟორი დონალდ რანიკელსი. პროგრამა – ბეთჰოვენი და ბრიტენი.

გამიხარდა და მომინდა, გამეზიარებინა.



## ენდი ძიძავამ თავისი იუბილე პატარა მხატვარს მიუძღვნა



ქუთაისის ლადო მესხიშვილის თეატრის მსახიობმა ენდი ძიძავამ თავისი საიუბილეო საღამო ქუთაისის მე-14 სკოლის მეორე კლასის მოსწავლე გეგა სოფრომაძეს მიუძღვნა.

– ქუთაისის მეთოთხმეტე საჯარო სკოლის მე-2 კლასში გვყავს უნიჭიერესი მოსწავლე. ჩვენი გეგა. იგი არაჩვეულებრივად ხატავს და, პროფესიონალთა შეფასებით, უკვე შემდგარ მხატვრად შეიძლება ჩაითვალოს. გეგას პერსონალურ გამოფენას ჰპირდებიან, მაგრამ მის დედას არ აქვს საშუალება, ნახატებს ჩარჩოები შეუძინოს. ჩვენ თუ საზოგადოება ვართ, ეს ნახატები არ უნდა დარჩეს ჩარჩოების გარეშე! სულ 1100 ლარია საჭირო. არ გვაქვს უფლება, ამ ბავშვს სამყაროს ფერები გავუმუქოთ. მისთვის ასეთი ფერადია სამყარო! ვაზიარებთ ჩვენი გეგას ფოტოს და მის კიდევ რამდენიმე ნამუშევარს. ეს ნახატები არ უნდა დარჩეს ჩარჩოების გარეშე! – ეს განცხადება ქუთაისის მე-14 საჯარო სკოლამ გამოაქვეყნა და იუბილარმა მსახიობმა გადაწყვიტა, თავისი იუბილე პატარა მხატვრისთვის მიეძღვნა.

იუბილარმა უარი თქვა, მესხიშვილის თეატრის სცენა მის ბენეფისს დასთმობოდა. ენდი ძიძავას ინიციატივით ფოიეში ქუთაისის მე-14 საჯარო სკოლის მე-2 კლასის მოსწავლის, გეგა სოფრომაძის ნახატების გამოფენა მოეწყო, რომლის პატრონაჟიც ენდი ძიძავას ეკუთვნის.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ისრაელი: შეტაკებების შედეგად 217 პალესტინელია დაშავებული



იუდეასა და სამარიაში (დასავლეთ სანაპირო) და ღაზას სექტორის აღმოსავლეთ ნაწილში პალესტინელების მასობრივი საპროტესტო აქცია დაიწყო.

საპროტესტო აქცია ისრაელის პოლიციასთან შეტაკებებში გადაიზარდა. მათ პოლიციელებს ქვები დაუშინეს.

შეტაკებების შედეგად 217 პალესტინელია დაშავებული. ისრაელის პოლიციამ აგრესიულად განწყობილი დემონსტრანტების წინააღმდეგ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

დემონსტრანტები წვავდნენ ისრაელის დროშებს და სკანდირებდნენ „ომი ახლოვდება", „მოვკვდეთ წამებულებად – ისრაელის სახელმწიფო არ უნდა არსებობდეს".

7 დეკემბერს ტერორისტული დაჯგუფება „ჰამასის" ლიდერმა ისმაილ ხანიამ პალესტინელებს ისრაელის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებისკენ მოუწოდა.

მოძრაობა კატეგორიულად ეწინააღმდეგება დონალდ ტრამპის მიერ იერუსალიმის ისრაელის დედაქალაქად გამოცხადებას და სამშვიდობო მოლაპარაკებებს არ აპირებს.

## ვლადიმერ პუტინი ჩინეთის სამხედრო ხელმძღვანელობას შეხვდა

კრემლში ვლადიმერ პუტინი ჩინეთის კომპარტიის უმაღლესი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარეს, გენერალ ჩჟან იუსიას შეხვდა. საუბრის თემა რუსეთ-ჩინეთის სამხედრო პარტნიორობის შემდგომი გაღრმავება იყო.

– ჩვენ ჩინელ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებით დაინტერესებულნი ვართ, – განუცხადა ჩინელ სტუმარს პუტინმა.

ექსპერტ ვიტალი პორტნიკოვის აზრით, რუსეთ-ჩინეთის თანამშრომლობის გაღრმავების შედეგია ის, რომ ჩინელები რუსეთის კუთვნილ შორეულ აღმოსავლეთში ინტენსიურად სახლდებიან. პუტინი იძულებულია, ამას დათანხმდეს.

– თუ ასე გაგრძელდა, მალე ჩინელები შორეულ აღმოსავლეთში უმრავლესობად გადაიქცევიან. ეს სულ რაღაც 3-4 წელიწადში მოხდება, – თვლის პორტნიკოვი.



## ერდოღანმა საბერძნეთს ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა



თურქეთის პრეზიდენტი რეჯებ ერდოღანი ათენში ჩავიდა. აქ ის საბერძნეთის ლიდერ პავლოპულოსს შეხვდა.

ერდოღანმა განაცხადა, რომ საზღვარი თურქეთ-საბერძნეთს შორის, რომელიც 1923 წელს დაწესდა, უნდა გადაისინჯოს.

ამით თურქეთმა საბერძნეთს, ფაქტობრივად, ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა.

პავლოპულოსმა პასუხად განაცხადა, რომ საზღვრების გადასინჯვა გამორიცხულია.

## უნგრეთმა იმიერკარპატისპირეთში ეუთოს მისიის გაგზავნა მოითხოვა

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სიეტრომ განაცხადა, რომ იმიერკარპატისპირეთში მცხოვრები უნგრელების უფლებები ირღვევა და ამაში ოფიციალური კიევი დაადანაშაულა.

– მოვითხოვთ, იმიერკარპატისპირეთში ეუთოს მისია გაგზავნონ, – თქვა მან.




ამავე დროს, ეუთოს წევრი 11 სახელმწიფო მიიჩნევს, რომ იმიერკარპატისპირეთში არავითარ ეროვნულ შევიწროებას ადგილი არა აქვს.

– უნგრეთის ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობს, კარს მომდგარი არჩევნების წინ ობივატელთან ქულები დაიწეროს, – განაცხადა ლიტვიის პრეზიდენტმა დალია გრიბაუსკაიტემ.

ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა მიზანშეუწონლად მიიჩნია უნგრეთის ხელისუფლების მოწოდება, ჩრდილოატლანტიკურმა ბლოკმა უკრაინასთან თანამშრომლობა შეაჩეროს.

– ამის აუცილებლობა არ არსებობს, – ამბობს სტოლტენბერგი.

უკრაინელი ექსპერტი ვალენტინ ბადრაკი თვლის, რომ უნგრელთა დემარში, ისევე, როგორც ანტიუკრაინული ძალების გააქტიურება პოლონეთში, რუმინეთსა და სლოვაკეთში, გარკვეული მცდელობაა, გამოიწვიონ დესტაბილიზაცია.

– პუტინი იყენებს ზოგიერთ უკრაინელ ოლიგარქს, რომლებსაც საკუთარი ინტერესები გააჩნიათ და პოროშენკოს ხელისუფლებას ვერ ეგუებიან. მათი მეშვეობით ის დესტაბილიზაციის შექმნას ცდილობს. პუტინმა მოისყიდა უნგრელი, პოლონელი, რუმინელი პოლიტიკოსები, აგრეთვე ზოგიერთი ევროპელი მოღვაწე, რათა რუსეთისთვის ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო შექმნას. უნგრელთა გამოხდომებიც ამ სქემის ერთ-ერთ ნაწილია, – ამბობს ბადრაკი.

## პოლონეთის პრემიერ-მინისტრი გადადგა

პოლონეთის პრემიერ-მინისტრი ბეატა შიდლო გადადგა. მმართველმა პარტიამ „კანონი და სამართლიანობა" მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე ვიცეპრემიერი, ფინანსთა მინისტრი მატეუშ მორავეცკი წარადგინა.

როგორც მმართველი პარტიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ბეატა მაზურეკმა განაცხადა, ბეატა შიდლომ პარტიის პოლიტიკურ საბჭოს გადადგომის თხოვნით მიმართა, რაც დაკმაყოფილებულია.

მისივე თქმით, მმართველმა პარტიამ გადაწყვეტილება მიიღო, რომ ბეატა შიდლო მნიშვნელოვან პოსტს დაიკავებს პოლონეთის მთავრობაში.

ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურას პოლონეთის პარლამენტში 12 დეკემბერს უყრიან კენჭს.



მორავეცკის პრემიერ-მინისტრის პოსტზე წარდგენა იმაზე მიუთითებს, რომ მმართველ პარტიას ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაზე სურს კონცენტრირება.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

## კრიშტიანო რონალდუმ მეხუთე ოქროს ბურთი მოიგო



პორტუგალიელმა სუპერ ვარსკვლავმა კრიშტიანო რონალდუმ ოქროს ბურთი მეხუთედ მოიგო. ამრიგად რონალდუ მესის დაეწია, რომელზეც ასევე ხუთჯერ აქვს ეს ჯილდო მოპოვებული.

რონალდუმ განაცხადა, რომ ამ ტიტულს თანაგუნდელების გარეშე ვერ მოიგებდა.

— ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა ასეთი აღიარება. ფანტასტიკური წელიწადი გამოვიდა და ჩემი თანაგუნდელების წყალობით ლა ლიგა და ჩემპიონთა ლიგა მოვიგე. ამან განაპირობა ინდივიდუალური ტიტულებიც, — განაცხადა კრიშტიანო რონალდუმ.

რონალდუმ ისიც დაამატა, რომ რეალში ბედნიერია და კარიერის დასრულებას ამ გუნდში აპირებს.

## კოუტინიო ლივერპულის გულშემატკივარს მიმართავს — „უნდა გამიგოთ“



ლივერპულის ბრაზილიელმა შემტევმა ფილიპე კოუტინიომ მის შესაძლო წასვლაზე ისაუბრა და თქვა, რომ გულშემატკივრები მის გადაწყვეტილებას პატივისცემით უნდა მოეკიდონ. კოუტინიომ ჯერ არ იცის, სად გააგრძელებს კარიერას და შესაძლოა მან იანვარში ლივერპული დატოვოს.

— ლივერპულში ბედნიერი ვარ, მაგრამ მომავალში შესაძლოა ყველაფერი მოხდეს და სხვა კლუბში აღმოვჩნდე. გულშემატკივარი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს, — განაცხადა ფილიპე კოუტინიომ.

## ჯენარო გატუზომ თავისი ფეხბურთელები გააკრიტიკა



მილანის მთავარმა მწვრთნელმა ჯენარო გატუზომ მილანის ფეხბურთელები გააკრიტიკა და თქვა, რომ მათ უნდა ესმოდეთ თუ რომელი გუნდის მაისურით თამაშობენ.

მილანმა ევროპის ლიგაზე რიეკასთან წააგო სტუმრად 0:2 და ამის გამო გატუზოს გუნდს უამრავი კრიტიკა დაატყდა თავს.

გატუზოს აზრით, მილანის ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ.

— ასე გაგრძელება არ შეიძლება. ფეხბურთელებს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ და ეს უახლოეს მომავალში უნდა გამოვასწოროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვერაფერს ვერ მივაღწევთ, — განაცხადა ჯენარო გატუზომ.

## დანი კარვახალს ჩემპიონთა ლიგაში ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს



მადრიდის რეალის მცველს დანი კარვახალს ჩემპიონთა ლიგაში ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, რადგან აპოელის წინააღმდეგ მან ყვითელი ბარათი მიზანმიმართულად მიიღო. კარვახალმა ეს იმიტომ გააკეთა, რომ პლეიოფში ყვითელი ბარათების პრობლემა აღარ ჰქონოდა. საბოლოოდ პირიქით მოხდა და კარვახალი ორივე მერვედფინალურ შეხვედრას გამოტოვებს.

კენჭისყრა ორშაბათს გაიმართება და მადრიდის რეალის მეტოქეც ცნობილი გახდება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## უეფამ საქართველო პირველ კალათში განათავსა

ერთა ლიგის ახალ ფორმატზე ბევრჯერ გვეწერა და კიდევ რამდენჯერმე მოგვიწევს დაწერა. ერთა ლიგას ახლა უფრო ჩამოყალიბებული სახე მიეცა, რადგან უეფამ გუნდები კალათებში გადაანაწილა.

დავიწყოთ საქართველოთი, რომელიც დ ლიგაშია.

გუნდები შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

**პირველი კალათა:**საქართველო, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მაკედონია;

**მე-2 კალათა:** სომხეთი, ლატვია, ფარერების კუნძულები, ლუქსემბურგი;

**მე-3 კალათა:** ყაზახეთი, მოლდოვა, ლიხტენშტეინი, მალტა;

**მე-4 კალათა:** ანდორა, კოსოვო, სან მარინო, გიბრალტარი.




განთესვის შემდეგ ნათელი გახდა, რომ საქართველო ვერ შეხვდება აზერბაიჯანს, ბელარუსსა და მაკედონიას. ასევე ერთმანეთს ვერ შეხვდებიან სომხეთი და აზერბაიჯანი. ამასთან, მანძილის შორის გამო, ერთ ჯგუფში მხოლოდ ერთი წყვილი იქნება შესაძლებელი შემდეგი ქვეყნებიდან: ანდორა და ყაზახეთი, ფარერები და ყაზახეთი, გიბრალტარი და ყაზახეთი, გიბრალტარი და აზერბაიჯანი.

ჯგუფების გამარჯვებულები პირდაპირ გადავლენ ც ლიგაში, ამასთან, ჯგუფებში პირველადგილოსნები პლეი ოფში გავლენ, სადაც გამარჯვებული 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის საგზურს მიიღებს.

სრული კენჭისყრა 24 იანვარს გაიმართება, ხოლო პირველი მატჩი 2018 წლის 6 სექტემბერს ჩატარდება.

ახლა სხვა ლიგებზეც.

**ა ლიგა:**

**პირველი კალათა:** გერმანია, პორტუგალია, ბელგია, ესპანეთი;

**მე-2 კალათა:** საფრანგეთი, ინგლისი, შვეიცარია, იტალია;

**მე-3 კალათა:** პოლონეთი,, ისლანდია, ხორვატია, ჰოლანდია;

ა ლიგაში 4 სამგუნდიანი ჯგუფი შეიქმნება. პირველადგილოსნები 2019 წლის ივნისში უეფას ერთა ლიგის ფინალურ ეტაპზე ითამაშებენ და გამოვლინდება ტურნირის გამარჯვებული.

ჯგუფებში ბოლო ადგილზე გასული ნაკრებები 2020 წლის ერთა ლიგაში ერთი დივიზიონით დაქვეითდებიან და ბ ლიგაში ითამაშებენ.

ჯგუფური ეტაპის 4 საუკეთესო გუნდი კი 2020 წლის მარტში პლეი ოფის სისტემით ევრო 2020-ის საგზურს გაითამაშებს.

**ბ ლიგა**

**პირველი კალათა:** ავსტრია, უელსი, რუსეთი, სლოვაკეთი;

**მე-2 კალათა:** შვედეთი, უკრაინა, ირლანდია, ბოსნია;

**მე-3 კალათა:** ჩრდ. ირლანდია, დანია, ჩეხეთი, თურქეთი.

ბ ლიგაში შეიქმნება 4 სამგუნდიანი ჯგუფი. რუსეთისა და უკრაინის ნაკრებები ერთ ქვეჯგუფში ვერ მოხვდებიან.

ჯგუფის გამარჯვებული 4 ნაკრები 2020 წლის ერთა ლიგაში ერთი დივიზიონით დაწინაურდებიან და ა ლიგაში გადაინაცვლებენ. გარდა ამისა, ხსენებული 4 ნაკრები ევრო 2020-ის საგზურისთვისაც იბრძოლებენ 2020 წლის მარტში პლეი ოფის სისტემით.

ჯგუფში ბოლო ადგილზე 4 ნაკრები კი ც ლიგაში გააგრძელებენ ასპარეზობას.

**ც ლიგა**

**პირველი კალათა:** უნგრეთი, რუმინეთი, შოტლანდია, სლოვენია;

**მე-2 კალათა:** საბერძნეთი, სერბეთი, ალბანეთი, ნორვეგია;

**მე-3 კალათა:** მონტენეგრო, ისრაელი, ბულგარეთი, ფინეთი;

**მე-4 კალათა:** კვიპროსი, ესტონეთი, ლიტვა.

ც ლიგაში შეიქმნება 1 სამგუნდიანი და 3 ოთხგუნდიანი ჯგუფი. კლიმატური პირობების გამო ერთ ჯგუფში ნორვეგია, ფინეთი, ესტონეთი და ლიტვასგან მხოლოდ 2 გუნდის მოხვედრა იქნება შესაძლებელი.

ჯგუფის 4 გამარჯვებული ნაკრები მომდევნო ერთა ლიგისთვის ერთი დივიზიონით აღზევდება. გარდა ამისა, ისინი 2020 წლის მარტში პლეი ოფის სისტემით ევრო 2020-ის ერთ საგზურს გაითამაშებენ.

ჯგუფების 4 ბოლოადგილოსანი კი ც ლიგას დატოვებს და დ ლიგაში დაქვეითდებიან.

**ერთა ლიგის კალენდარი კი ასეთია:**

**I ტური: 6-8 სექტემბერი, 2018 წელი;**
**მე-2 ტური: 9-11 სექტემბერი, 2018 წელი;**
**მე-3 ტური: 11-13 ოქტომბერი, 2018 წელი;**
**მე-4 ტური: 14-16 ოქტომბერი, 2018 წელი;**
**მე-5 ტური: 15-17 ნოემბერი, 2018 წელი;**
**მე-6 ტური: 18-20 ნოემბერი, 2018 წელი.**

ფინალური ეტაპის წილისყრა გაიმართება 2018 წლის დეკემბერში; ფინალური ეტაპი ჩატარდება 2019 წლის 5 ივნისიდან 9 ივნისამდე.


## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური პროცესების მართვა, ლიმფის გაწმენდით მეტასტაზების განადგურება, სიმსივნური უჯრედის ზრდის შეჩერება, ქიმიოთერაპიის ეფექტურობის გაზრდა, იმუნიტეტის ამაღლება, თმის ცვენის, გულის რევის შეჩერება, ენერგიისა და ჭამის მადის მომატება მცენარეული, აბსოლუტურად უვნებელი საშუალებებით. ტელ: 597-98-95-99.

● ფსორიაზის, ეგზემის, კანისა და ფრჩხილის სოკოს მკურნალობა გარანტირებული შედეგებით. ფსორიაზის მკურნალობა ლიმფის გაწმენდით (შინაგანად) და მალამოებით. მამაკაცური სექსუალური პრობლემების მოწესრიგება, ერექციის გახანგრძლივება და სხვა — მხოლოდ მცენარეული პრეპარატებით. ტელ: 597-98-95-99.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზიური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# აპენინებზე დიდი იტალიური დერბია

## სტატისტიკა, ფსონები

**ევროპაში ბევრი საინტერესო მატჩია. აქედან ინგლისში 2 დერბია – მერსისაიდული და მანჩესტერული. იტალიაში კი დიდი იტალიური დერბია – იუვენტუსი-ინტერი. ასე რომ, გულშემატკივრებს მოსაწყენად არ ეცლებათ.**



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09. 12 ვესტ ჰემი-ჩელსი | 7.0 | 4.0 | 1.5 |
| 09.12 სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 2.6 | 3.0 | 2.9 |
| 09.12 კრ.პალასი-ბორნმუთი | 1.91 | 3.4 | 4.0 |
| 09.12 ბარნლი-უოტფორდი | 2.5 | 3.2 | 2.87 |
| 09.12 ტოტენჰემი-სტოკი | 1.25 | 6.0 | 11.0 |
| 09.12 ჰადერსფილდი-ბრაიტონი | 2.62 | 2.9 | 3.0 |
| 09.12 ნიუკასლი-ლესტერი | 2.5 | 3.25 | 2.8 |
| 10.12 საუთჰემპტონი-არსენალი | 3.8 | 3.6 | 1.91 |
| 10.12 ლივერპული-ევერტონი | 1.3 | 5.0 | 10.0 |
| 10.12 მანჩესტერი-სიტი | 3.3 | 3.4 | 2.15 |

**ვესტ ჰემი-ჩელსი**

ვესტ ჰემი: ტრავმ-ენდი კეროლი, ხავიერ ერნანდესი, ხოსე ფონტე, სამ ბირანი, ჯეიმს კოლინზი

ჩელსი: ტრავმ-დავიდ ლუიზი, ჩარლი მუსონდა

**სუონსი-ვესტ ბრომვიჩი**

სუონსი: ტრავმ-კილი ბარტლი

ვესტ ბრომვიჩი: ტრავმ-გარეთ ბერი, მეტიუ ფილიპსი, კრის ბრუნტი, ნასერ ჩადლი, კრეიგ დაუსონი, ჯეიმს მორისონი

**კრ.პალასი-ბორნმუთი**

კრ.პალასი: ტრავმ-უეინ ჰენესი, ჯეიმს ტომკინსი, ლი ჩუნგ-იონგი

ბორნმუთი: ტრავმ-ადამ სმიტი, ტაირონ მინგსი

**ბარნლი-უოტფორდი**

ბარნლი: ტრავმ-რობი ბრეიდი, სტივენ დეფო, მეტიუ ლოუტონი, ჯონათან უოლტერსი, ტომ ჰატონი

უოტფორდი: ტრავმ-კიკო ფემენია, ნათან ჩალობა, იუნის კაბული

**ტოტენჰემი-სტოკი**

ტოტენჰემი: ტრავმ-ტობი ალდერვეირელდი, ვიქტორ ვანიამა

სტოკი: ტრავმ-ბრუნო მარტინს ინდი

**ჰადერსფილდი-ბრაიტონი**

ჰადერსფილდი: ტრავმ-მაიკლ ჰეფელე, ფილიპ ბილინგი

ბრაიტონი: ტრავმ-არავინ

**ნიუკასლი-ლესტერი**

ნიუკასლი: ტრავმ-პოლ დუმერტი

ლესტერი: ტრავმ-მატ ჯეიმსი

**საუთჰემპტონი-არსენალი**

საუთჰემპტონი: ტრავმ-სედრიკ სუარესი

არსენალი: ტრავმ-შკოდრან მუსტაფი, სანტი კაზორლა

**ლივერპული-ევერტონი**

ლივერპული: ტრავმ-ჯოელ მატიპი

ევერტონი: ტრავმ-ლეიტონ ბაინესი

**მანჩესტერი-სიტი**

მანჩესტერი: ტრავმ-მარუან ფელაინი, ერიკ ბაილი, ფილ ჯონსი, მაიკლ კერიკი

სიტი: ტრავმ-ბენჯამინ მენდი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 15 | 14 | 1 | 0 | 46-10 | 43 |
| 2.მანჩესტერი | 15 | 11 | 2 | 2 | 35-9 | 35 |
| 3.ჩელსი | 15 | 10 | 2 | 3 | 28-12 | 32 |
| 4.ლივერპული | 15 | 8 | 5 | 2 | 33-19 | 29 |
| 5.არსენალი | 15 | 9 | 1 | 5 | 29-19 | 28 |
| 6.ტოტენჰემი | 15 | 7 | 4 | 4 | 23-13 | 25 |
| 7.ბარნლი | 15 | 7 | 4 | 4 | 14-12 | 25 |
| 8.უოტფორდი | 15 | 6 | 4 | 5 | 25-26 | 22 |
| 9.ლესტერი | 15 | 5 | 5 | 5 | 20-20 | 20 |
| 10.ევერტონი | 15 | 5 | 3 | 7 | 19-28 | 18 |
| 11.საუთჰემპტონი | 15 | 4 | 5 | 6 | 15-18 | 17 |
| 12.ბრაიტონი | 15 | 4 | 5 | 6 | 14-19 | 17 |
| 13.სტოკი | 15 | 4 | 4 | 7 | 18-30 | 16 |
| 14.ბორნმუთი | 15 | 4 | 3 | 8 | 13-17 | 15 |
| 15.ნიუკასლი | 15 | 4 | 3 | 8 | 14-22 | 15 |
| 16.ჰადერსფილდი | 15 | 4 | 3 | 8 | 9-26 | 15 |
| 17.ვესტ ბრომვიჩი | 15 | 2 | 7 | 6 | 12-21 | 13 |
| 18.კრ.პალასი | 15 | 2 | 4 | 9 | 8-25 | 10 |
| 19.ვესტ ჰემი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-32 | 10 |
| 20.სუონსი | 15 | 2 | 3 | 10 | 8-18 | 9 |

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.12 ხეტაფე-ეიბარი | 1.95 | 3.4 | 4.0 |
| 09.12 რეალი-სევილია | 1.28 | 5.5 | 9.0 |
| 09.12 დეპორტივო-ლეგანესი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 09.12 ვალენსია-სელტა | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 10.12 სოსიედადი-მალაგა | 1.55 | 5.0 | 6.0 |
| 10.12 ბეტისი-ატლეტიკო | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 10.12 ლევანტე-ბილბაო | 3.2 | 3.2 | 2.3 |
| 10.12 ვილიარეალი-ბარსელონა | 4.5 | 3.75 | 1.75 |
| 11.12 ესპანიოლი-ხირონა | 2.0 | 3.4 | 3.8 |

**ხეტაფე-ეიბარი**

ხეტაფე: ტრავმ-გაკუ შიბასაკი

ეიბარი: ტრავმ-კრისტიან რივერა

**რეალი-სევილია**

რეალი: ტრავმ-არავინ

სევილია: ტრავმ-დანიელ კარიკო, ნიკოლას პარეხა

**დეპორტივო-ლეგანესი**

დეპორტივო: ტრავმ-ბრუნო გამა, ზაკარია ბაკალი, ლუიზინიო

ლეგანესი: ტრავმ-მარტინ მანტოვანი, დიმიტრიოს სიოვასი, დარკო ბრაშანაჩი, ომარ რამოსი

**ვალენსია-სელტა**

ვალენსია: ტრავმ-გონსალო გუედესი, ეზეკიელ გარაი, ჯეისონ მურილიო

სელტა: ტრავმ-სერხი გომესი

**სოსიედადი-მალაგა**

სოსიედადი: ტრავმ-იმანოლ აგირეჩე

მალაგა: ტრავმ-ხუანკარი, მიგელ ტორესი, ზდრავკო კუზმანოვიჩი, ფედერიკო რიკა

**ბეტისი-ატლეტიკო**

ბეტისი: ტრავმ-ფაბიან რუისი, ანტონიო სანაბრია, ჯოელ კემბელი

ატლეტიკო: ტრავმ-არავინ

**ლევანტე-ბილბაო**

ლევანტე: ტრავმ-ჩეიკ დაკური, ალექს ალეგრია, ჯეფერსონ ლერმა, ივან ლოპესი

ბილბაო: ტრავმ-ანდერ იტურასპე, ბენატ ეჩებერია, იკერ მუნიანი

**ვილიარეალი-ბარსელონა**

ვილიარეალი: ტრავმ-ნიკოლას სანსონე, დენის ჩერიშევი, ლეო სუარესი, სამუ, რუბენ სემედო, ანდრეს ფერნანდესი

ბარსელონა: ტრავმ-სამუელ უმტიტი, ხავიერ მასკერანო, უსმან დემბელე

**ესპანიოლი-ხირონა**

ესპანიოლი: ტრავმ-ხავი ლოპესი, სერხიო სანჩესი

ხირონა: ტრავმ-ლარი კაიოდე, კარლეს პლანასი, პედრო ალკალა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 14 | 11 | 3 | 0 | 36-7 | 36 |
| 2.ვალენსია | 14 | 9 | 4 | 1 | 33-13 | 31 |
| 3.ატლეტიკო | 14 | 8 | 6 | 0 | 23-7 | 30 |
| 4.რეალი | 14 | 8 | 4 | 2 | 25-11 | 28 |
| 5.სევილია | 14 | 9 | 1 | 4 | 19-14 | 28 |
| 6.ვილიარეალი | 14 | 6 | 3 | 5 | 22-18 | 21 |
| 7.ლეგანესი | 14 | 6 | 2 | 6 | 12-13 | 20 |
| 8.ხეტაფე | 14 | 5 | 4 | 5 | 20-15 | 19 |
| 9.სოსიედადი | 14 | 5 | 4 | 5 | 28-26 | 19 |
| 10.სელტა | 14 | 5 | 3 | 6 | 26-21 | 18 |
| 11.ბეტისი | 14 | 5 | 3 | 6 | 23-28 | 18 |
| 12.ხირონა | 14 | 4 | 5 | 5 | 18-22 | 17 |
| 13.ეიბარი | 14 | 5 | 2 | 7 | 16-27 | 17 |
| 14.ლევანტე | 14 | 3 | 7 | 4 | 14-20 | 16 |
| 15.ესპანიოლი | 14 | 4 | 4 | 6 | 11-18 | 16 |
| 16.ბილბაო | 14 | 3 | 5 | 6 | 14-18 | 14 |
| 17.დეპორტივო | 14 | 3 | 3 | 8 | 17-27 | 12 |
| 18.ლას პალმასი | 14 | 3 | 1 | 10 | 11-32 | 10 |
| 19.ალავესი | 14 | 3 | 0 | 11 | 10-24 | 9 |
| 20.მალაგა | 14 | 2 | 2 | 10 | 11-28 | 8 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.12 დორტმუნდი-ვერდერი | 1.36 | 5.5 | 7.0 |
| 09.12 ლაიპციგი-მაინცი | 1.4 | 4.75 | 7.5 |
| 09.12 ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 2.45 | 3.4 | 2.8 |
| 09.12 აინტრახტი-ბაიერნი | 6.0 | 4.4 | 1.5 |
| 09.12 გლადბახი-შალკე | 2.05 | 3.6 | 3.4 |
| 10.12 კიოლნი-ფრაიბურგი | 2.15 | 3.5 | 3.25 |
| 10.12 ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი | 2.62 | 3.4 | 2.6 |
| 10.12 აუგსბურგი-ჰერტა | 1.91 | 3.4 | 4.2 |

**დორტმუნდი-ვერდერი**

დორტმუნდი: ტრავმ-მარიო გიოტცე, ლუკაშ პიშჩეკი, მარკო როისი

ვერდერი: ტრავმ-არონ იოჰანსონი, მაქსიმილიან ეგეშტეინი

**ლაიპციგი-მაინცი**

ლაიპციგი: ტრავმ-მარსელ საბიცერი

მაინცი: ტრავმ-რენე ადლერი, კარიმ ონისივო

**ჰამბურგი-ვოლფსბურგი**

ჰამბურგი: ტრავმ-ალბინ ეკდალი, ნიკოლაი მიულერი

ვოლფსბურგი: ტრავმ-იაკუბ ბლაჩიკოვსკი, იგნასიო კამაჩო

**აინტრახტი-ბაიერნი**

აინტრახტი: ტრავმ-ჯონათან დე გუზმანი, ტიმოთი ჩანდლერი

ბაიერნი: ტრავმ-არიენ რობენი, ტიაგო ალკანტარა, მანუელ ნოიერი

**გლადბახი-შალკე**

გლადბახი: ტრავმ-პატრიკ ჰერმანი, კრისტოფ კრამერი, ტონი იანჩკე, ტობიას სიპელი, იონას ჰოფმანი, იბრაჰიმა ტრაორე, ლასლო ბენეში

შალკე: ტრავმ-ნაბილ ბენტალები

**კიოლნი-ფრაიბურგი**

კიოლნი: ტრავმ-დომინიკ მარო, ჯონ კორდობა, ლეონარდო ბიტენკურტი, სიმონ ზოლერი, კრისტიან კლემენსი, დომენიკ ჰაინცი, მარკო ჰოგერი, იონას ექტორი

ფრაიბურგი: ტრავმ-ამირ აბრაში, მარკ-ოლივერ კემპი, მიკელ ფრანცი, ფლორიან ნედერლეხნერი

**ჰანოვერი-ჰოფენჰაიმი**

ჰანოვერი: ტრავმ-ჯონატასი, ჩარლისონ ბენშოპი, ფელიპე

ჰოფენჰაიმი: ტრავმ-ბენჯამინ ჰუბნერი, ფელიქს პასლაკი

**აუგსბურგი-ჰერტა**

აუგსბურგი: ტრავმ-გოიკო კაჩარი

ჰერტა: ტრავმ-ვალენტინ შტოკერი, ვლადიმირ დარიდა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 14 | 10 | 2 | 2 | 34-11 | 32 |
| 2.ლაიპციგი | 14 | 8 | 2 | 4 | 22-19 | 26 |
| 3.შალკე | 14 | 7 | 4 | 3 | 22-16 | 25 |
| 4.გლადბახი | 14 | 7 | 3 | 4 | 23-25 | 24 |
| 5.ჰოფენჰაიმი | 14 | 6 | 5 | 3 | 25-18 | 23 |
| 6.დორტმუნდი | 14 | 6 | 4 | 4 | 34-21 | 22 |
| 7.აუგსბურგი | 14 | 6 | 4 | 4 | 21-16 | 22 |
| 8.აინტრახტი | 14 | 6 | 4 | 4 | 16-14 | 22 |
| 9.ლევერკუზენი | 14 | 5 | 6 | 3 | 27-19 | 21 |
| 10.ჰანოვერი | 14 | 5 | 4 | 5 | 17-19 | 19 |
| 11.ვოლფსბურგი | 14 | 3 | 8 | 3 | 20-19 | 17 |
| 12.ჰერტა | 14 | 4 | 5 | 5 | 19-21 | 17 |
| 13.შტუტგარტი | 14 | 5 | 2 | 7 | 13-17 | 17 |
| 14.მაინცი | 14 | 4 | 3 | 7 | 15-22 | 15 |
| 15.ჰამბურგი | 14 | 4 | 2 | 8 | 13-20 | 14 |
| 16.ფრაიბურგი | 14 | 2 | 6 | 6 | 9-25 | 12 |
| 17.ვერდერი | 14 | 2 | 5 | 7 | 9-16 | 11 |
| 18.კიოლნი | 14 | 0 | 3 | 11 | 6-27 | 3 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.12 კალიარი-სამპდორია | 2.5 | 3.6 | 2.6 |
| 09.12 იუვენტუსი-ინტერი | 1.57 | 4.0 | 5.5 |
| 10.12 კიევო-რომა | 5.0 | 3.8 | 1.67 |
| 10.12 ნაპოლი-ფიორენტინა | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 10.12 სპალი-ვერონა | 2.1 | 3.25 | 3.6 |
| 10.12 უდინეზე-ბენევენტო | 1.44 | 4.33 | 7.0 |
| 10.12 სასუოლო-კროტონე | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 10.12 მილანი-ბოლონია | 1.55 | 4.0 | 6.0 |
| 11.12 ჯენოა-ატალანტა | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 11.12 ლაციო-ტორინო | 1.5 | 4.4 | 6.0 |

**კალიარი-სამპდორია**

კალიარი: ტრავმ-ნიკოლო ჯანეტი, ალესიო გრაგნო, მარკო საუ, გრეგორი ვან დერ ვილი, ნიკოლო ბარელა

სამპდორია: ტრავმ-ივან სტრინიჩი, კაროლ ლინეტი

**იუვენტუსი-ინტერი**

იუვენტუსი: ტრავმ-შტეფან ლიხშტეინერი, მარიო მანჯუკიჩი

ინტერი: ტრავმ-მატიას ვეჩინო

**კიევო-რომა**

კიევო: ტრავმ-ლუკას კასტრო, მეჰდი ლერისი

რომა: ტრავმ-რაჯა ნაინგოლანი, დიეგო პეროტი, გრეგუარ დეფრე

**ნაპოლი-ფიორენტინა**

ნაპოლი: ტრავმ-ფაუზ გულამი, არკადიუშ მილიკი

ფიორენტინა: ტრავმ-დავიდე ასტორი, სიმონე ლო ფასო, რაფიკ ზენინი

**სპალი-ვერონა**

სპალი: ტრავმ-საული ვაისანენი, ბარტოშ სალამონი, ფილიპო კოშტა

ვერონა: ტრავმ-მატია ძაგანი, ჯამპაოლო პაცინი, მოის კინი

**უდინეზე-ბენევენტო**

უდინეზე: ტრავმ-კევინ ლასანგა, გაბრიელ ანჯელა, ვალონ ბეჰრამი, ემილ ჰალფრედსონი

ბენევენტო: ტრავმ-ვიტორიო პარიჯინი, აშრაფ ლაზაარი, ამატო ჩიჩირეტი, პიეტრო იმენოლე, დანილო გატალდი

**სასუოლო-კროტონე**

სასუოლო: ტრავმ-დავიდე ბიონდინი, კლოდ აჯაპონგი, ფრანჩესკო მანანელი, ალფრედ დანკანი

კროტონე: ტრავმ-მარიანო ისკო, ოლივერ კრაგლი, მარკო ტუმინელო

**მილანი-ბოლონია**

მილანი: ტრავმ-ხოსე მაური, ალესიო რომანიოლი, ანდრეა კონტი

ბოლონია: ტრავმ-სესარ ფალეტი, ჯანკარლო გონსალესი, ფედერიკო დი ფრანჩესკო, ფილიპ ჰელანდერი, ანდრეა პოლი, ხუან მანუელ ვალენსია

**ჯენოა-ატალანტა**

ჯენოა: ტრავმ-პიტერო პელეგრი, ადელ ტააბარტი, ანდრეა გალაბინოვი, ლუკა როზეტინი, არმანდო იზზო, გორან პანდევი, ედი სალსედო

ატალანტა: ტრავმ-მარტენ დე როონი

**ლაციო-ტორინო**

ლაციო: ტრავმ-ნანი, ლუკასი, დავიდე დი ჯენარო

ტორინო: ტრავმ-სადიქ უმარი, სამუელ გუსტაფსონი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ინტერი | 15 | 12 | 3 | 0 | 33-10 | 39 |
| 2.ნაპოლი | 15 | 12 | 2 | 1 | 35-10 | 38 |
| 3.იუვენტუსი | 15 | 12 | 1 | 2 | 41-14 | 37 |
| 4.რომა | 14 | 11 | 1 | 2 | 27-10 | 34 |
| 5.ლაციო | 14 | 10 | 2 | 2 | 35-16 | 32 |
| 6.სამპდორია | 14 | 8 | 2 | 4 | 28-20 | 26 |
| 7.ფიორენტინა | 15 | 6 | 3 | 6 | 26-19 | 21 |
| 8.მილანი | 15 | 6 | 3 | 6 | 21-20 | 21 |
| 9.ბოლონია | 15 | 6 | 3 | 6 | 18-18 | 21 |
| 10.ატალანტა | 15 | 5 | 5 | 5 | 21-19 | 20 |
| 11.ტორინო | 15 | 4 | 8 | 3 | 19-21 | 20 |
| 12.კიევო | 15 | 5 | 5 | 5 | 17-26 | 20 |
| 13.კალიარი | 15 | 5 | 1 | 9 | 14-25 | 16 |
| 14.უდინეზე | 14 | 5 | 0 | 9 | 21-24 | 15 |
| 15.ჯენოა | 15 | 3 | 4 | 8 | 13-20 | 13 |
| 16.კროტონე | 15 | 3 | 3 | 9 | 11-30 | 12 |
| 17.სასუოლო | 15 | 3 | 2 | 10 | 8-27 | 11 |
| 18.სპალი | 15 | 2 | 4 | 9 | 13-26 | 10 |
| 19.ვერონა | 15 | 2 | 3 | 10 | 12-30 | 9 |
| 20.ბენევენტო | 15 | 0 | 1 | 14 | 8-36 | 1 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 09.12 პსჟ-ლილი | 1.14 | 8.5 | 15.0 |
| 09.12 მონაკო-ტრუა | 1.33 | 5.0 | 9.0 |
| 09.12 გენგამი-დიჟონი | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 09.12 ტულუზა-კაენი | 2.2 | 3.1 | 3.5 |
| 09.12 მეცი-რენი | 3.3 | 3.1 | 2.3 |
| 09.12 ანჟე-მონპელიე | 2.45 | 3.0 | 3.1 |
| 10.12 ამიენი-ლიონი | 5.0 | 4.2 | 1.61 |
| 10.12 ნანტი-ნიცა | 2.15 | 3.1 | 3.6 |
| 10.12 მარსელი-სტ.ეტიენი | 1.6 | 4.2 | 5.0 |

**პსჟ-ლილი**

პსჟ: ტრავმ-ტიაგო მოტა

ლილი: ტრავმ-იბრაჰიმ ამადუ, რომიგუე კუმა, ჰამზა მენდილი

**მონაკო-ტრუა**

მონაკო: ტრავმ-ანდრეა რაგი, იოური ტულემანსი, გაბრიელ ბოშილია, სტევან იოვეტიჩი, ტომას ლემარი

ტრუა: ტრავმ-ტომას დინომე

**გენგამი-დიჟონი**

გენგამი: ტრავმ-ნიკოლას ბენეზეტი, იანის სილიბური, სლოან პრივატი, ეტიენ დიდო

დიჟონი: ტრავმ-ნაიმ სლიტი, ვესლი ლაუტოა

**ტულუზა-კაენი**

ტულუზა: ტრავმ-სომალია

კაენი: ტრავმ-ერვე ბაზილე, ვინსენტ ბესა

**მეცი-რენი**

მეცი: ტრავმ-მილან ბიშევაჩი, ჟან ჟოფრე, მეტიუ უდოლი, აბლი იალოუ

რენი: ტრავმ-ისმაილ სარრი

**ანჟე-მონპელიე**

ანჟე: ტრავმ-არავინ

მონპელიე: ტრავმ-ჯონათან იკონე

**ამიენი-ლიონი**

ამიენი: ტრავმ-გუსუმა ფოფანა

ლიონი: ტრავმ-ჯერემი მორელი, ბერტრანდ ტრაორე

**ნანტი-ნიცა**

ნანტი: ტრავმ-რენი კრინი, კალიფა კულიბალი

ნიცა: ტრავმ-ვესლი სნეიდერი

**მარსელი-სტ.ეტიენი**

მარსელი: ტრავმ-გრეგუარ სერტიჩი

სტ.ეტიენი: ტრავმ-ფლორენტინ პოგბა, ოლე სელნაესი, გაბრიელ სილვა, რომან ჰამუმა, რემი კაბელა

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 16 | 13 | 2 | 1 | 48-12 | 41 |
| 2.ლიონი | 16 | 9 | 5 | 2 | 40-18 | 32 |
| 3.მონაკო | 16 | 10 | 2 | 4 | 37-16 | 32 |
| 4.მარსელი | 15 | 9 | 4 | 2 | 31-18 | 31 |
